619
1979
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

ივნისი
№ 6 1979 წ.

ზურაბ დათუაშვილი
ელექტრონული
ბიბლიოთეკა



ახალი
სართულები

# ბავშვთა წელიწადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნათელა ვასაძე,**
საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, პროფესორი.



**1979** წლის 1 იანვარს საბჭოთა ნორჩმა თაობამ ძვირფასი საჩუქარი მიიღო — მათ ცენტრალური ტელევიზიით მიესალმა და ბავშვთა საერთაშორისო წელი მიულოცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა. მშობლიური სითბოთი და მზრუნველობით აღსავსე მისალმებაში ნათქვამი იყო:

„გამარჯობათ, ძვირფასო ნორჩო მეგობრებო! გილოცავთ ყველას ახალ წელს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს, გადაწყვიტა ეს წელი ბავშვის წლად გამოაცხადოს. ეს ძალიან კარგი, სწორი გადაწყვეტილებაა. ბავშვები ხომ ჩვენი მომავალია, მათ უნდა განაგრძონ თავიანთი მამებისა და დედების საქმე. დარწმუნებული ვარ, ისინი ცხოვრებას ქვეყნად უფრო უკეთესსა და ბედნიერს გახდიან. ჩვენი ვალი კი ის არის, რომ ვეცადოთ, რათა არც ერთი ხალხის ბავშვებმა არ იცოდნენ რა არის ომები, რომ მათ მშვიდი, სასიხარულო ბავშვობა ჰქონდეთ.

სამწუხაროდ, დღეს ქვეყნად ჯერ კიდევ ბევრგან გაისმის სროლა, იღვრება სისხლი და იღუპებიან არა მარტო მოზრდილები, არამედ ბავშვებიც. ჯერ კიდევ ბევრი ბავშვი იხოცება შიმშილითა და ავადმყოფობით. ამას ვერ შევურიგდებით. საბჭოთა კავშირში ვცდილობთ ყველაფერი ვიღონოთ, რათა ბავშვობის წლები ჯანსაღი და ბედნიერი იყოს. ჩვენ ავაშენეთ და კვლავაც ავაშენებთ ათასობით ნათელ, მოხერხებულ საბავშვო ბაგას, საბავშვო ბაღს, სკოლას. ჩვენ ვცდილობთ ბავშვებს ვასწავლოთ სიკეთე, მეგობრობა, ვასწავლოთ იცხოვრონ კეთილმეზობლურად ყოველი ეროვნებისა და კანის ფერის ყველა ადამიანთან, ვასწავლოთ მათ შრომის პატივისცემა და შრომა ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ.

ძვირფასო ბავშვებო! გოგონებო და ბიჭუნებო! მოვა დრო და თქვენც გაიზრდებით, მაშინ მომავლისათვის ზრუნვა თქვენ დაგეკისრებათ. ჯერჯერობით კი გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, მშვიდობიან და საამურ ცხოვრებას".

ლ. ი. ბრეჟნევმა მარტო საბჭოთა ხალხს როდი მიმართა, მიმართა ყველა შრომისმოყვარე, პატიოსან ადამიანს დედამიწაზე!

დღეს ყოველი პროგრესული ადამიანი მარტო საკუთარი ბავშვის ბედზე როდი ფიქრობს!

ცნობილმა იტალიელმა მწერალმა ჯანი როდარიმ საბჭოთა მწერლებთან შეხვედრის დროს განაცხადა: „ბავშვების ბედისადმი ჩვენი პასუხისმგებლობა საოცრად მაღლა აყენებს ბრძოლას სამართლიანობისათვის, მე ვლაპარაკობ პასუხისმგებლობაზე ყველა ბავშვისათვის, მე არ შემიძლია ვიყო კარგი მამა, თუ მარტო საკუთარ შვილებზე ვიფიქრებ, თუ დავივიწყებ რომ მე ყველა ბავშვის მამა ვარ, სულ ერთია სადაც არ უნდა იყოს დაბადებული, რომელ ენაზეც უნდა ლაპარაკობდეს, ყველანი ჩვენი შვილები არიან!"

ჩემს თაობას დღესაც არ მოუშუშებია ომით მიყენებული იარები. ომმა მათ წაართვა მამები, ძმები, ახლობელი ადამიანები.

საქართველოში ყოფნისას დიდმა სტუმარმა ლ. ი. ბრეჟნევმა, როდესაც თალხებში ჩაცმული ამდენი ქართველი ქალი დაინახა, ძალზე შეწუხდა, როცა უთხრეს, რომ ისინი სამამულო ომის ფრონტზე დაღუპულთა დედები და ცოლები არიანო, ცრემლი ვეღარ შეიკავა.

როდესაც საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში უცნობი ჯარისკაცის კუბო გამოიტანეს, მას აცილებდა ყველა, ვისაც კი ომში დაუკარგავს შვილი, ქმარი, ძმა თუ გულისსწორი.

ერთ-ერთ სოფელში უცნობი ჯარისკაცი დაიტირა დედამ, რომელმაც ფრონტზე ოთხი ვაჟიშვილი დაჰკარგა; იგი ცხარედ ტიროდა და ყველას არწმუნებდა, რომ ეს მისი ერთ-ერთი ვაჟიშვილია.

ამბობენ, დედის ცრემლი სისხლიაო — გულის სისხლი; სისხლი შვილზე ფიქრისა და დარდისაგან გახუნებული, ფერდაკარგული, გათეთრებული.

და აი, რომ არ ტიროდეს დედა, ეს არის დღეს პროგრესული კაცობრიობის საზრუნავი. ბავშვების ბედი განუყოფელია იმ ხალხის ბედისაგან, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, ბავშვთა ცხოვრება და მომავალი დამოკიდებულია ბედზე, რომელსაც მათ უფროსები უქმნიან.

როდესაც ვლაპარაკობთ ორ სამყაროზე, ორ ბავშვობაზე, ვადარებთ ჩვენი — საბჭოთა ბავშვების ცხოვრებას მისი თანატოლების ყოფას სხვა ქვეყნებში, ვუცქერით ფოტოდოკუმენტებს, რომელზედაც აღბეჭდილია დასახიჩრებული ბავშვები, ანდა ვუსმენთ ცნობას იმის შესახებ, რომ აგრესორებმა გაჟლიტეს მოსწავლეები, აგრესორების ასეთი უღვთო, ბარბაროსული საქციელი საბჭოთა ადამიანების გულისწყრომას იწვევს და ტკივილებს გვაყენებს. მაშინ გინდა, მოიმოქმედო რაიმე აგრესორების წინააღმდეგ, რომ შეაჩერო ისინი.

ბავშვის საერათშორისო წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველაზე მთავარი მოწოდება, ეს მშვიდობისთვის ბრძოლაა, რომ ბავშვის საერთაშორისო დღე — 1 ივნისი უნდა გადაიქცეს მსოფლიოში განიარაღებისა და მშვიდობისათვის ბრძოლის საყოველთაო დღედ.

საბჭოთა კავშირში ბავშვთა საერთაშორისო წლის აღნიშვნა განსაკუთრებულ ვითარებაში მიმდინარეობს. ჩვენს ქვეყანაში დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველი დღიდანვე, ყოველი დღე, ბავშვთა კეთილდღეობას ემსახურება. ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი დეკრეტი ბავშვთა უფასო კვებას შეეხებოდა. მიუხედავად არნახული სიძნელეებისა, რვა მილიონი ბავშვი პროდუქტებს უფასოდ იღებდა.

დღეს საბჭოთა ადამიანებმა შეგვიძლია დამსახურებულად ვიამაყოთ იმით, რომ ყველა სიკე-

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**დროშა**

№ 6 (510). ივნისი, 1979 წ.

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1979 წ.

მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა გახტაძე, თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ დემეტრაშვილი, ზურაბ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.

კორექტორი ქეთევან წერეთელი

16229

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

თე, რაც ჩვენს ქვეყანას გააჩნია, ბავშვის ჰარმონიული განვითარებისაკენ არის მიმართული.

საბჭოთა კავშირში, ჩვენს რესპუბლიკაში, ინტერნაციონალიზმის, მეგობრობისა და ძმობის სამაგალითო ქვეყანაში იბადება, სწავლობს, ვაჟკაცდება სამოცზე მეტი სხვადასხვა ეროვნების ბავშვი. საბჭოთა ბავშვებისათვის, მათ შორის ქართველი ბავშვებისათვის, ბრძოლა მშვიდობისათვის, მეგობრული დახმარება თანატოლებისადმი, პლანეტის რომელ კუთხეშიც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი, მათ საპატიო მოვალეობად ითვლება. საბჭოთა ბავშვებსა და ახალგაზრდობას, ამას ასწავლიან სკოლაში, ოჯახში, უმაღლეს სასწავლებლებში.

რამდენიმე წლის წინ თბილისში განიარაღებისა და მშვიდობის პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ღონისძიება ტარდებოდა. ამ ღონისძიების მონაწილეებმა მოუსმინეს ანსამბლ „მზიურს“. ერთ-ერთი უცხოელი სტუმარი აღფრთოვანებაში მოიყვანა ანსამბლმა და ყველას გასაგონად წამოიძახა:

„რად ვკარგავთ დროს მშვიდობისადმი მიძღვნილ კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე, მოასმენინეთ ამ ბავშვების სიმღერა მსოფლიოს და ომი აღარ იქნება!“

და აი, მრავალი წელია „მზიურის“ გოგონებს უსმენენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ისინი მღერიან მშვიდობაზე, მეგობრობაზე. ბავშვთა საერთაშორისო შეხვედრაზე არტეკში, ჩილელ ნორჩ მეგობრებთან ერთად მათ შეჰფიცეს, რომ თავიანთი სიცოცხლის დევიზად გაიხადონ მშვიდობისათვის ბრძოლა. ბავშვებმა თავიანთი უმაღლესი ჯილდო —საკავშირო კომკავშირის პრემია მთლიანად მშვიდობის ფონდში გადარიცხეს.

ბავშვთა საერთაშორისო წელი სავსებით სამართლიანად ჩაითვლება დედათა და ბავშვთა წლად, ვინაიდან სწორედ დედამ უნდა შთაუნერგოს შვილს იმის შეგნება და რწმენა, რომ მხოლოდ სიკეთით, მშვიდობიანი თანაარსებობით შეიძლება უზრუნველვყოთ ნათელი, უღრუბლო ცა.

ყოვლისშემძლეა დედის გული. ლეგენდა გადმოგვცემს: ბოროტმა სულებმა ქალს ერთადერთი ვაჟიშვილი მოსტაცეს და კლდეში მოამწყვდიეს. გადარეული დედა კლდის გარშემო დარბოდა და ღმერთს შვილს შესთხოვდა; მაშინ ბოროტი სულები მივიდნენ დედასთან და დაჰპირდნენ შვილს, ოღონდ იმ პირობით, თუ იგი დაუკვნესავად თავისი ხელით ამოიგლეჯდა მკერდიდან გულს. დედა არც დაფიქრებულა, არც დაუკვნესია ისე ამოიგლიჯა გული და მიწაზე დააგდო. ამ დროს კლდე გრიალით გაიხსნა, მზესავით ყმაწვილი თავისუფალი იყო. მოხდა მეორე საოცრება — მიწაზე დაგდებულმა დედის გულმა ფეთქვა დაიწყო, გაცოცხლდა, მხოლოდ ახლა გული შვილის მკერდში სცემდა.

აი, რა შეუძლია დედის სიყვარულს შვილისადმი. ასეთი ლეგენდები ძალზე ბევრია. დედების ცხოვრება დღეს ხომ ხვალინდელი დღის ლეგენდად დაე, ჩვენი შვილები იყვნენ დედის გულების სიყვარულის ღირსნი!

დღეს საბჭოთა ადამიანები ბავშვის საერთაშორისო წელს აღიქვამენ, როგორც პლანეტის კეთილი ნების ადამიანთა კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობის, მშვიდობისათვის, სიცოცხლისათვის, შვილების სიხარულისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის წელს!



მერცხლის ბუდესთან.

— მომავალ გაზაფხულზე მერცხალი ჩვენთან არ მოვა, — გულდაწყვეტილი ჩაილაპარაკა ელპიტე არველაძემ, როცა თავმონგრეული ბუდე დაინახა ფერმის კედელზე.

— რატომ არ მოვა, ელპიდე დეიდა? — შეშფოთდა რუსუდან ფიფია.

— იმიტომ არ მოვა, რომ ვიღაცას ბუდე დაუნგრევია.

გოგოებმა ფერმის გამგის ქერისკენ გაშვერილ თითს მზერაააყოლეს.

— მოვა, ახალ ბუდეს გაიკეთებს, — დაამედა ქალიშვილები ნაირა გვალიამ.

— მერცხლის ბუდე, შვილებო, ბედნიერების სიმბოლოა. არ უნდა მოვშალოთ იგი, მერცხლის ბუდეს სიხარული მოაქვს...

ელპიტე არველაძე ცრუმორწმუნე სულაც არ არის. პირიქით, იგი როგორც კომუნისტს შეჰფერის, ყოველგვარი რელიგიური რიტუალისა და დრომოჭმული ადათ-წესების მტერია.

მერცხლის ბუდე რომ სიხარულის მომტანია, ეს მაინც სწამს; არა, ეს რწმენა არ არის, ეს უბრალოდ ადამიანური ინსტიქტია.

შარშან მთელი გაზაფხული და ზაფხული ბუდობდნენ აქ კუდმაკრატელა მერცხლები. გოგოები რომ უთენია მოვიდოდნენ ფერმაში, მერცხლებს ყოველთვის ელვიძათ. ვერა და ვერ მოუსწრეს მძინარეთ. პირდაფჩენილ ბარტყებს თავები ყოველთვის მაღლა ჰქონდათ აშვერილი, შიოდათ თუ არა, მაინც საჭმელს მოითხოვდნენ, მერე გაიზარდნენ და მშობლებთან ერთად გაფრინდნენ თბილ ქვეყნებში. და ფერმის მუშაკებს თითქოს რაღაც დააკლდათ.

ახლა კი ბუდე ვიღაცას თუ რაღაცას დაუნგრევია.

ზამთარი უჩვეულო დადგა წლეულს, ადრე აცივდა.

ხბორები ერთმანეთს ეკვრიან, პატარა ხაოიან ენებს უსვამენ ერთმანეთს და, მართალია, არც კი იციან, სად არიან თავიანთი დედები, მაგრამ მაინც კმაყოფილები არიან, არც სითბო აკლიათ, არც საზრდო და, რაც მთავარია, არც მზრუნველობა.

დედას ნაადრევად ასხლეტილმა ხბომ, რომელსაც შუბლსა და კისერზე თეთრი ზოლები დაუყვებოდა, „სადილზე“ უარი თქვა. მიწოდებულ რძეს ოდნავ ამოწვერილი რქები მიადო. ასეთი შემთხვევა იშვიათია. თივა და კომბინირებული საკვები რომ თქვა, კიდევ ჰო, მაგრამ თბილი რძე როგორ უნდა იუაროს ხბომ?!

ნაირას არც ელპიტესათვის და არც გოგოებისათვის არ გაუმხელია ეს ამბავი. რატომ უნდა ატკინოს გული სხვებს, იქნებ ისედაც გაუაროს, რა საჭიროა განგაშის ატეხა?

ხბოს ნახერხი გამოუცვალა და ვეტექიმ ნათელა ჯანელიძესთან გაიქცა. ბედად ექიმი შინ დაუხვდა. არც კი უკითხია, რა სჭირსო, სასწრაფოდ გადაიცვა და ნაირას გაჰყვა.

გოგოები მაგიდის ჩოგბურთს თამაშობდნენ (ჩოგბურთის მაგიდა ფერმის შესასვლელში დგას) და არც ნაირას წასვლა გაუგიათ, არც ნათელა ჯანელიძის მისვლა. შესვენების დრო ამოიწურა, მაშინ მოიკითხეს თანამოსაქმე და სწორედ ამ დროს გამოჩნდა ვეტექიმთან ერთად.

გზადაგზა ნაირამ სიტყვა ჩამოართვა ნათელას, ელპიტესათვის არაფერი ეთქვა, მას ისედაც უამრავი საზრუნავი აქვს და დარდს ნუ მოვუმატებთო.

ნაირა გვალიას, ისე როგორც სახბორის ყველა მუშაკს, რუსუდან ფიფიას, ცისანა გვალიას, შუქურა გიგინეიშვილს და სხვებს, 60-60 ხბო ჰყავთ გაპიროვნებული. სულ ფერმაში 540 პირუტყვია.

მერე როგორი ლამაზები და საყვარლები არიან. უნდა ნახო საძოვებლად ან გასასეირნებლად რომ გამოიყვანენ, რა კუნტრუშით დაუვლიან ირგვლივ ფერმის შენობას.

სამოცი ხბოს მოვლა კი არა, დათვლა გაუჭირდება კაცს. მე შენ გეტყვი და თვითონ დაგიძახებს ესა და ეს მტკივაო, მწყურიაო, მშიაო, შენ უნდა მიხვდე, რა უჭირს და რა ულხინს მას. პატარა, უსუსურ არსებებს ისიც ეყოფათ, დედებთან რომ არ არიან და ძუძუს ნაცვლად საწოვარები უდევთ პირში.

დღის წესრიგს, რომელიც ფერმის შესასვლელში ჰკიდია, ვერ დაარღვევ. ფერმაში ექვს საათზე უნდა მოხვიდე. დღის განმავლობაში ხბოებს სამჯერ უნდა გამოუცვალო ნახერხი, სამჯერ უნდა აჭამო, უნდა გაასუფთაო, დაბანო კიდეც. ერთი სიტყვით, ექვსიდან რვა საათამდე ფეხზე უნდა იდგე; თუ გინდა, რომ ხბო გამოზარდო, სხვანაირად ვერ მოიქცევი.

ძნელია, ძალიან ძნელია ეს.

და რამდენადაც ძნელია საქმე, იმდენად მეტი შემართებით უნდა ეკვეთო.

ჭრელას მაღალი სიცხე ჰქონდა. ნათელამ პენიცილინის დიდი დოზა გაუკეთა, ნაირას რჩევა

ჩვენი თანამედროვე

მისცა განცალკევებით ჰყოლოდა, საძოვარზე არ გაეშვა და მხოლოდ რძით ეკვება.

— გაუვლის? — შიშით იკითხა ნაირამ.

— არხეინად იყავი, — მშვიდად უპასუხა ნათელამ და წავიდა.

ნეტა კარგად ჩაივლიდეს ეს ამბავი. რამდენი ხანია ნაირა აქ მუშაობს და ხბო ავად არ გახდომია. არადა, ხვალ-ზეგ მოზარდეულში უნდა გადაიყვანონ, ავადმყოფს ხომ ვერ ჩააბარებს?!

აბაშის რაიონის სოფელ ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ამ რამდენიმე წლის წინათ გაიხსნა სარაიონთაშორისო საჯიშე სახბორე, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკაში ცნობილი ადამიანი — სოციალისტური შრომის გმირი ელპიტე არველაძე. აქ რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობას მოჰყავს ჩვილი ხბორები მერე მუხლს რომ მოიმაგრებენ, რომ მოღონიერდებიან, ტანს აიყრიან, უკანვე იბრუნებენ.

მოვლენ ამა თუ იმ კოლმეურნეობის ხელმძღვანელები და ისე გულგრილად ჩააბამენ ბაწარს გაზრდილ მოწიფულ ხბორებს, გეგონებათ, სამუდამო ტყვეობაში მიჰყავთო.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერმის ეზოში

# მერცხლების დაბრუნება



ელპიტე არველაძე (მარჯვნიდან მეორე) ფერმის ახალგაზრდებთან

ანზორ გოგოლაძის ფოტო

და გოგონებიც ურიგდებიან ამას.

სჯერათ, რომ თავიანთი გამოზრდილი, ერთ დროს უსუსური ხბორები მალე ძროხებად იქცევიან და მათი ჯიქნებიდან ნაკადულივით წამოვა რძე.

ეს გახლავთ საბოლოო მიზანი, სწორედ ამ რძის ნაკადულებისათვის იღწვიან აქ ელპიტე არველაძე და მისი გოგონები.

ბაწარს რომ აბამენ საქონელს მათ წასაყვანად მოსული კოლმეურნეობათა მეცხოველეები, მორიდებით ითხოვენ სწორედ იმ ხბორებს, რომლებიც თვითონ „გააძიძავეს" ამ ორიოდე წლის წინათ. ნამდვილად ძნელი საქმეა. როგორ უნდა გამოარჩიოთ 500-600 ხბოში მაინცდამაინც შენი?! წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ხერხდება კიდეც ეს. გოგონებმა სპეციალურად დანიშნეს პირველი მაისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ხბორები, აბა თუ გამოიცნობენო. მოვიდა ამავე კოლმეურნეობის ფერმის გამგე ევტიხი თურქია და ცოტა იფიქრა თუ ბევრი, თავის საქონელს დაადო ხელი!

ათასი წელიწადიც რომ გყავდეთ აქ, ჩემსას მაინც ვიცნობო! დაუტრაბახია თურმე მაშინ ევტიხის. ძალაც ჰქონდა ქადილისა. ფაქტს ვერსად დაემალები, რაც მართალია, მართალია, კაცმა თავისი ხბო გამოიცნო!

...საღამოს ქალიშვილებმა პირუტყვს „ვახშამი" მიართვეს. ნახერხი გამოუცვალეს, სადგომი დაასუფთავეს და ტელევიზორს მიუსხდნენ ფერმის შესასვლელში. გვიან დაიშალნენ.

არ დაეძინა ნაირას, ადგა, თბილად ჩაიცვა და სახბორეში წავიდა. ჭრელა იწვა და არხეინად ღეჭავდა... ფშვინავდა.

დასასვენებელ ოთახში შუქი ენთო.

და ნაირამ ფანჯარაში ელპიტე არველაძეს მოჰკრა თვალი.

რამ მოიყვანა ამ შუაღამისას ეს ქალი!

— რატომ არ მითხარი? — მშვიდად ჰკითხა ოთახის კარებში მდგარ ნაირას ელპიტემ.

— რა უნდა მეთქვა?

— რა და ხბო ავად გაგხდომია.

ნაირა დაიბნა, გაწითლდა და თავი ჩაჰკიდა.

— კარგი, არ გეჩხუბები, მე ვიცი, რისთვისაც არ მითხარი. კი, საწყენია ეს ამბავი, მაგრამ მაინც უნდა გეთქვა. არც მე დამაძინა შენმა დარდმა.

...მაისის დამდეგს პარტიის აბაშის რაიკომის მუშაკს გიორგი გვაზავას შევხვდი. სხვათა შორის ვკითხე, ელპიტე არველაძის ფერმაში მერცხლები ხომ არ დაბრუნებულან მეთქი.

კიო, მიპასუხა, ახალი, უკეთესი ბუდე აუშენებიათო.

ივერი ტაბიძე

საუზმე.



მოზარდი პირუტყვის ფერმა





ეროვნული ბიბლიოთეკა

# გვირაბი კავკასიონზე

ავტომანქანა ქშენით მიუყვებოდა თავდაღმართს. ძალიან ჭირდა ღორღით მოფენილ ნაგზევზე სიარული.

— ისევ ამ გზით დავბრუნდეთ უკან? — იკითხა მძღოლმა.

— ჯერ ადგილზე მიგვიყვანე მშვიდობიანად და უკან დაბრუნებაზე მერე ვილაპარაკოთ! — ღიმილით გაეპასუხა გივი ყიფიანი.

ეს იყო ამ ოთხი წლის წინ. „თბილგვირაბმშენის" № 18 საგვირაბო რაზმის კოლექტივი მაშინ ზვიადი კავკასიონის დასალაშქრავად ემზადებოდა.

ჯავის რაიონული ცენტრიდან 36 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს სოფელი ზემო როკი. შემდეგ კი, როგორც ამბობენ ხოლმე, ქვეყნის კიდეა — კავკასიონის მთავარ ქედს ჩაურაზავს აქაურობა. ციცაბო ფერდობებსა და ჭიუხებზე საცალფეხო ბილიკი გადის და ეს გზაწვრილი როკის გადასასვლელი გახლავთ.

უღელტეხილს ფეხით გადაივლიდნენ და ზაკში ჩადიოდნენ. აქედან უკვე ჩრდილოეთ ოსეთი იწყება. ასეთივე ძნელი და მომღლელი გზა, მდინარე არდონის ხეობის გავლით, ალაგირისაკენ მიემართება და შემდეგ ქალაქ ორჯონიკიძეში ჩადის.

გზა ყოველთვის სანატრელი იყო ამ კუთხის სოფლების მცხოვრებთათვის. ამიტომაც არის, რომ ხშირად შეხვდებით ნასოფლარებს. დიახ, უგზოობა აიძულებდა აქაურ მკვიდრთ მშობლიური ადგილებიდან აყრილიყვნენ და ბარად ჩამოსახლებულიყვნენ. ასეთივე სურათია როკის უღელტეხილის ჩრდილოეთ მხარესაც: იქაც ბევრ ნასოფლარს შეხვდება ადამიანი.

ხალხი საუკუნეების მანძილზე ოცნებობდა ამ მიდამოებში გზის გაყვანაზე, მაგრამ ოცნება ოცნებად რჩებოდა. დღევანდელი სისხლსავსე ცხოვრება კი ამ საკითხის ახლებურად გადაჭრას მოითხოვდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გადაწყდა სამოც კილომეტრამდე სიგრძის ავტოსაგზაო მაგისტრალის გაყვანა ჯავიდან ალაგირის მიდამოებამდე (სოფელ ბურონამდე). ეს ტრასა უმოკლესი გზით დააკავშირებს ჩვენს რესპუბლიკას. ჩრდილოეთ ოსეთთან და რუსეთის ქალაქებთან.

საავტომობილო მაგისტრალის ტექნიკური პროექტი ერთობლივად შეიმუშავეს „ლენგიპროტრანსის", „სოიუზდორპროექტის", „ლენმეტროპროექტის" და „ენერგოსეტპროექტის" საპროექტო ინსტიტუტებმა, ხოლო მუშა ნახაზები — კავკასიის სახელმწიფო საპროექტო კვლევა-ძიებითმა ინსტიტუტმა „კავგიპროტრანსმა" მოამზადა.

გზის მშენებლობა „სევკავდორსტროის" აქვს მინდობილი, ბურღვა-აფეთქებებს კი სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „ტრანსვზრივპრომის" № 78 სპეციალიზებული სამმართველო (უფროსი გ. დიდიძე) აწარმოებს.

საავტომობილო გზის ერთი მონაკვეთი — გვირაბის სახით როკის უღელტეხილის ქვეშ გაივლის. მისი მშენებლობა „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს კოლექტივს დაეკისრა. კავკასიონის მთავარ ქედზე გვირაბის გაყვანა პირველი შემთხვევაა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამიერკავკასიაში ასეთი სიდიდის საავტომობილო გვირაბი ჯერ არ აშენებულა, იგი უდიდესი იქნება საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც.

როკის საავტომობილო გვირაბის მშენებლობასთან დაკავშირებით „თბილგვირაბმშენის" სამმართველოში 1975 წელს შეიქმნა ახალი სამეურნეო ერთეული — № 13 საგვირაბო რაზმი, რომლის ხელმძღვანელობა ინჟინერ გივი ყიფიანს დაეკისრა. გივი ყიფიანს ერთ-ერთი გამოცდილი სამთოელის სახელით იცნობენ მიწისქვეშა მაგისტრალების მშენებელთა კოლექტივში.

როკის გვირაბის მშენებლობის რთულმა სპეციფიკამ მოითხოვა კავკასიონის ქედის მეორე მხრიდანაც დაეწყოთ მშენებლობა. ამ საქმესთან დაკავშირებით მომდევნო პერიოდში მეორე სამეურნეო ერთეული — № 15 საგვირაბო რაზმი შეიქმნა (უფროსი გივი ნიკოლაიშვილი). ამჟამად ორივე მხრიდან ერთდროულად წარმოებს გვირაბების გაყვანა.

ჩვენი წერილის დასაწყისში სამშენებლო ობიექტამდე მისასვლელი რთული გზა ვახსენეთ. გვირაბმშენებელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ცხინვალში მდებარეობს. ცხინვალიდან ჯავამდე, შემდეგ კი ზემო როკამდე გადასაზიდი იყო სამშენებლო მასალები, მექანიზმები, მოწყობილობანი, საწვავსაცხები... ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, სატრანსპორტო გზის წესრიგში მოყვანა იყო საჭირო. როგორც მშენებლები იტყვიან, საქმე „ნულოვანი ციკლიდან" დაიწყეს. ჯავა-როკის გზაზე ოქტომბრიდან მაისამდე ერთობ ჭირს მოძრაობა, ხოლო ზამთრობით მთლიანად იკეტება ეს ტრასა. გარდა ამისა, მოძრაობას აფერხებს ზვავები, მეწყერი; გზა სისტემატურ მოვლას მოითხოვს.

ყოველი მშენებლობა თავისებური სირთულით ხასიათდება, მაგრამ როკის გვირაბის მშენებლებს განსაკუთრებულ სირთულესთან აქვთ საქმე.

ზემო როკი ზღვის დონიდან 2.150 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, ხოლო თვით გადასასვლელი — 2.995 მეტრზე.

ყოველგვარი სირთულე კარგად გაითვალისწინეს თბილისელმა გვირაბმშენებლებმა და თავიდანვე ენერგიულად მოკიდეს საქმეს ხელი.

— მახსოვს პირველი საცხოვრებელი ვაგონი რომ ავიყვანეთ ობიექტზე, — იგონებს სამშენებლო უბნის მაშინდელი უფროსი გიორგი გაგნიძე, — ოთხ დღეს მოუნდა მებულდოზერე გივი ბერძენიშვილი ჯავიდან როკამდე ასვლას. ღამეს ვაგონში ვათევდით...

ასე ნელ-ნელა აზიდეს ცხინვალის საყრდენი ბაზიდან როკამდე ყოველგვარი სამშენებლო მასალა თუ მოწყობილობა-მექანიზმები.

მალე გამოიკვეთა ზემო როკში მუშათა საცხოვრებელი დაბის პროფილი, რომელიც 500 ოჯახზე იყო გათვალისწინებული. მშენებლებმა ააგეს საცხოვრებელი სახლები, საწყობების, სასადილოს, კანტორის შენობები, პურის საცხობი, სადიზელე ელექტროსადგური; გაიყვანეს სასმელი და ტექნიკური მოხმარების წყალი, კანალიზაცია, მოაწყვეს თბოქსელი, დაბა რადიოფიცირებულია...

აი გვირაბის პორტალიც! ახლა აქ გაშლილი ფრონტით მიმდინარეობს სამუშაობი. უკვე აშენდა ბეტონის ქარხნის კომპლექსი, რომელსაც 22 კაცი ემსახურება. ეს მიკროქარხანა დღე-ღამეში მშენებლებს აწვდის 70-80 კუბურ მეტრ ბეტონს, აქვეა საშხაპო და საკომპრესორო მოწყობილობანი.

სანამ გვირაბების გაყვანას შეუდგებოდნენ, აქ უდიდესი მოცულობის მიწის სამუშაოები შეასრულეს. მარტო მთის კალთაზე გამოჭრილი ბაქნის მოწყობაზე ათასობით კუბური მეტრი მიწა მოიჭრა.

პირველ რიგში სატრანსპორტო-სადაზვერვო გვირაბის გაყვანას შეუდგნენ, რომლის კვეთი 20,2 კვადრატული მეტრია. სატრანსპორტო-სადაზვერვო გვირაბი გვერდითი წოლხვრელების მეშვეობით შეუერთდება მთავარ გვირაბს, რაც საშუალებას მოგვცემს გაიხსნას დამატებითი სანგრევები და მთავარი გვირაბიდან გამოვზიდოთ მონგრეული ქანები.

აქვე გაიყვანეს მძლავრი სავენტილაციო გვირაბი, რომელშიც შემდგომში დამონტაჟდება გასანიავებელი დანადგარები. ეს დანადგარები ავტომანქანებიდან გამონაბოლქვი აირისა და მტვრისაგან გაასუფთავებს გვირაბს.

აი მთავარი გვირაბიც.

შორიდანვე იპყრობს ყურადღებას მისი პორტალი. სიღრმეში ყრუ გუგუნი ისმის. გამოჩნდა შავი ფიქლით დატვირთული თვითმცლელი.

— მონგრეულ ქანებს მომავალ ტრასაზე ვყრით, შემდეგში გზის მოსაშანდაკებლად გამოდგება. ისეთი გრუნტია, არ არის ძნელი დასამუშავებელი, — გვიყვება ობიექტის მშენებლობის უფროსი დემურ გადაბაძე.

დემურ გადაბაძე თხუთმეტი წელია თბლიგვირაბმშენის კოლექტივში საქმიანობს. მონაწილეობას იღებდა თბილისის მეტროპოლიტენის პირველი და მეორე რიგის მშენელობაში. გამოცდილი სამთოელი ახლა ამ მეტად საპასუხისმგებლო უბანზეა ხელმძღვანელად.

აქ სხვა ვეტერანი გვირაბმშენებლებიც ვნახეთ. აი, ივანე კილაძე. ვინ მოთვლის, თბილგვირაბმშენის რამდენ სამშენებლო ობიექტზე არ საქმიანობდა ეს გამოცდილი, თავის საქმეში ჩინებულად დაოსტატებული ელექტროზეინკალი.

— ივანემ თავისი შვილიც წამოიყვანა როკის გვირაბის მშენებლობაზე, — ამბობს მთავარი საავტო-

ხუთწლედის მშენებლობაზე

მობილო გვირაბის მშენებლობის უფროსი რობინზონ კერესელიძე. — და აქ, საერთოდ, ბევრმა ჩვენმა კადრის მუშაკმა წამოიყვანა თავიანთი შვილები. ცვლის უფროსის ხახული ბიბილაშვილის ვაჟი ბადრი ერთ-ერთი წამყვანი ზეინკალ-მემონტაჟეა, ზეინკალ-მემონტაჟეები არიან მამა-შვილი ვლადიმერ და ალექსანდრე პლეშჩაკოვები. ჩვენმა ვეტერანმა ბრიგადირმა პეტრე გოქაძემ კი ორი ვაჟი ამოიყენა გვერდით.

გვირაბში გუგუნით შემოდის ბეტონის ხსნარით დატვირთული თვითმცლელი. ჩვენ გზას ვუთმობთ.

თანდათან ვშორდებით პორტალს და გვირაბის სიღრმეში შევდივართ. აი პეტრე გოქაძის ბრიგადაც.

დიახ, პეტრე გოქაძეს კარგად იცნობენ „თბილგვირაბმშენში". ამ მოძრავმა, ენერგიულმა და საქმეში დაოსტატებულმა კაცმა თავისი სიტყვა თქვა როგორც თბილისის მეტროპოლიტენის, ისე სახალხო მეურნეობისათვის მეტად საჭირო სხვა ობიექტების მშენებლობის საქმეში. შარშან მისი ბრიგადა წარმატებით საქმიანობდა მცხეთის სარკინიგზო გვირაბის გაყვანაზე. გადასცეს საექსპლოატაციოდ ეს ობიექტი და შემდეგ თავისი ბრიგადის ძირითად შემადგენლობასთან ერთად როკს მიაშურა. იგი ახლა მებეტონეთა ბრიგადის ხელმძღვანელია.

ბრიგადის თითოეული წევრი, როგორც წესი, რამდენიმე მონათესავე პროფესიას ფლობს. ხელმარჯვედ, სწრაფად საქმიანობენ გივი ვარაზანაშვილი, ვალერი თვარაძე, თენგიზ ხეცურიანი, რომან სილაგაძე, ჯონი, თემური, ლევან და გია გოქაძეები, ჯუმბერ ელიანოვი, ბონდო გურგუჩიანი, ვალერი ჯიოევი, გია ფრუიძე და სხვები. როგორც ბრიგადირმა გვაუწყა, ისინი დღე-ღამეში 2,5-3 მეტრ გვირაბს აბეტონებენ.

ერთობ რთული და შრომატევადია მათი საქმე. მონდომება, სიმარჯვე და გულისყურია საჭირო, რათა ხარისხიანი გამოვიდეს ნახელავი — მათ მიერ დაბეტონებულმა გვირაბის თაღმა და კედლებმა ხომ საუკუნეებს უნდა გაუძლოს.

პეტრე გოქაძის ბრიგადას ლორდ გაგუას კოლექტივი ცვლის. არც ამ ბრიგადის წევრებზე ითქმის სამდურავი — სერგო შერმადინი, ზურაბ ლაშხი, თემურ გუსალოვი, თამაზ აბაშიძე და სხვები საქმეში გამობრძმედილი ბიჭები არიან.

...ვაგრძელებთ გზას. წინ დაუბეტონებელი გვირაბია და ერთგვარი შიში გვიპყრობს — ხომ შეიძლება ჩამოიშალოს თაღი და ქვეშ მოგვიყოლოს?! ,მასპინძლები გვამშვიდებენ.

— ნუ შიშობთ, — ღიმილით ამბობს რობინზონ კერესელიძე, — აქ საიმედო დროებითი გამაგრება გვაქვს მოწყობილი.

გვირაბის დროებით გამაგრებაზე ავტოამწის მძღოლი მუხრან ქუმარიტოვი და თამაზ კუპრაშვილი არიან დასაქმებულნი.

...სანგრევს მივადექით. აქ გიორგი ხეცურიანის ბრიგადა მუშაობს. გვირაბის გაყვანა საბურღი მანქანით წარმოებს. ამ მექანიზმზე 4 პერფორატორი მოქმედებს და ერთი აფეთქებისათვის ასზე მეტ ოთხმეტრიან ბურღილს ამზადებს.

შემდეგ ნიავდება გვირაბი, მოასწორებენ, ჩამოწმენდნენ სანგრევს და ქანების ამწმენდი მექანიზმით ხდება გრუნტის ჩატვირთვა თვითმცლელებში. თითოეული ასეთი აფეთქების შემდეგ 240-250 კუბური მეტრი ქანი გამოაქვთ სანგრევიდან.

ასე მიიწევენ წინ მშენებლები, მეტრებს მეტრები ემატება, გვირაბი თანდათან მიიწევს კავკასიონის ქედის სიღრმეში. დღეისათვის 600-მდე მეტრი გვირაბია გაყვანილი, ხოლო 350 მეტრი დაბეტონებულია.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვლა დამთავრდა.



გვირაბგამყვანები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ მშენებლების მიმართ. ეხმარებიან მშენებლებს ყოველგვარი გადასაჭრელი პრობლემის მოგვარებაში.

...მომავალი ტრასის პროფილი კი თანდათან იკვეთება. საუღელტეხილო გზის მშენებლობის სამხრეთ უბნის (უფროსი ლევან ქორთიევი) მშრომელები მალე დაიწყებენ გზის მოასფალტებას. გზას და გვირაბს აი ასეთ რთულ პირობებში აგებენ მშენებლები, მაგრამ აგებენ მტკიცედ, საიმედოდ.

ეს გზა და გვირაბი ახალ სიკეთეს, ახალ ბედნიერებას მოუტანს კომუნიზმის მშენებელ მშრომელებს.

ჯენრი კოზიძე

შ. ქებაძის ფოტო.



საქმიანი საუბარი.

## ხუთწლედის მშენებლობაზე

# ნახევარსაუკუნოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

> ნახევარი საუკუნის მანძილზე კოტე მარჯანიშვილის თეატრმა სახელოვანი გზა განვლო. „ქართველი ერის საყვარელი თეატრი“ — ასეთი ეპითეტით ამკობს დღეს ჩვენი მაყურებელი კ. მარჯანიშვილის თეატრს. რა ტიტანური შრომა, რამდენი ნებისყოფა, შემოქმედებითი წვა, დაუსრულებელი ძიება, უძილო ღამეები იყო საჭირო, თეატრს ეს სიყვარული რომ მოეპოვებინა!
>
> მარჯანიშვილის თეატრის ჭაღარა კედლები ბევრის მომსწრეა. თეატრში სასწაულებს ახდენდა ის თაობა, რომელმაც შექმნა კ. მარჯანიშვილის თეატრი, ჩამოაყალიბა მისი შემოქმედებითი მრწამსი, მოუპოვა მაყურებლის სიყვარული და საქართველოს საზღვრებს გარეთ გაიტანა მისი დიდება. ამ თაობას დიდი მოწიწებითა და პატივისცემით იხსენებს ქართველი საზოგადოება. ეს თაობა დიდი კოტე მარჯანიშვილის ბრწყინვალე ნიჭმა შექმნა. ეს იყო ქართული თეატრის განუმეორებელი თაობა, მისი უდიდესი სიმდიდრე და სიამაყე!
>
> მე ბედნიერება მქონდა, მათთან ერთად მემუშავა. ჩემი თაობა კოტე მარჯანიშვილის ბრწყინვალე შემოქმედებით პრინციპებზე გაიზარდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მინდა მოვიგონო და მოვუთხრო „დროშის“ მკითხველებს ჩემი ძვირფასი მასწავლებლების შესახებ.

## განუმეორებელი უშანგი



უშანგი ჩხეიძე — ჰამლეტი („ჰამლეტი“).

უშანგი ჩხეიძე ჩემი თაობისათვის ლეგენდარული პიროვნება იყო. შემოქმედი, რომელმაც რამდენიმე წლის მუშაობით მთელი ეპოქა შექმნა თეატრალურ ხელოვნებაში; მეტეორი, რომელიც თვალის მომჭრელად ბრწყინავდა და მშობლიური სცენის სამსახურში ჩაიფერფლა.

ავადმყოფობის მიუხედავად უშანგი ჩხეიძე თეატრით ცოცხლობდა. განსაკუთრებით აინტერესებდა ახალგაზრდობა. ბუნებრივია, თეატრის ერთ-ერთ შემქმნელს, აინტერესებდა, ვინ მიდიოდა მის ნაკვალევზე.

...1946 წელს დაიდგა სპექტაკლი „მასკარადი“ (ვასო ყუშიტაშვილის დადგმა); უცნობის როლის შემსრულებელი ავად გახდა და მის მაგივრად მე მომიხდა სპექტაკლში მონაწილეობა.

უშანგის ხშირად ნახულობდნენ მეგობრები და თეატრის ამბებს უყვებოდნენ. როდესაც მან გაიგო, რომ უცნობი ითამაშა ჯარიდან ახალდაბრუნებულმა ახალგაზრდა მსახიობმა ტატიშვილმა, იგი დაინტერესდა და თავის უმცროს დას, ჩვენი თეატრის მსახიობს, ნინოს დაავალა მასთან მივეყვანე.

მივედი, მოკრძალებით შევაღე კარი. იგი არაჩვეულებრივი თავაზიანობით მომეგება, გამომკითხა სადაური ვარ, სად ვსწავლობდი, რატომ მივედი თეატრში, რას ვგრძნობდი უცნობის თამაშის დროს. გამბედაობა მომიწონა, შემაქო სპექტაკლი მოხსნას რომ გადავარჩინე, შემდგომი წარმატება მისურვა.

...1947-1948 წწ. სეზონში თეატრმა აღადგინა „ყვარყვარე თუთაბერი“. სპეტკალი შალვა ღამბაშიძემ აღადგინა და რამდენიმე ახალი შემსრულებელიც მოამზადა: გამომძიებელი — ტ. საყვარელიძე, მწერალი — ნ. კანდელაკი და გ. ტატიშვილი (ადიუტანტი). სპექტაკლში მონაწილეობდნენ თეატრის კორიფეები: ს. ჟორჟოლიანი, შ. ღამბაშიძე, მ. სარაული, მ. ჯაფარიძე, კ. კვანტალიანი, ა. გომელაური, შ. გომელაური, ც. წუწუნავა, გ. შავგულიძე.

ერთ მშვენიერ დღეს ბატონმა შალვამ გამოგვიცხადა: ვაჟკაცებო, მოემზადეთ, ხვალ უშანგისთან მივდივართ, „ყვარყვარეს“ მეორე მოქმედება უნდა ჩავწეროთო. ის ღამე როგორ გავათენე, არ მახსოვს. მეორე დღეს მივედით ბატონ უშანგისთან. რეპეტიცია გავიარეთ და ჩავწერეთ. მაშინ ერთი საოცრების მოწმე გავხდი. უშანგი ეს ლომივით ვაჟკაცი, ტიტანური სიძლიერის როლების მოთამაშე მსახიობი — ჩემ თვალწინ დაჩიავდა, დაპატარავდა, საცოდავ, უბადრუკ ნაცარქექიად გადაიქცა, არ დამავიწყდება მისი თვალების გამომეტყველება; ეს მოხდა ყოველგვარი გრიმის, პარიკის, რეკვიზიტის ან სხვა რამ აქსესუარის გარეშე.

აი, რა არის დიდი ხელოვნება!

ჩაწერა რომ დამთავრდა, ბატონმა შალვამ ჰკითხა: „რას იტყვი, უშანგი, როგორი გამოვიდა?“.

უშანგიმ უპასუხა: „მე მგონი არა უშავს რა, თუ გოგი მეტისმეტად არ ყვიროდა!“.

...როგორც ყველა ახალგაზრდა, „ვცოდავდი“ და ლექსებს ვწერდი. რამდენიმე ლექსი უშანგის მივუძღვენი, მათგან ერთი ღირსად მივიჩნიე უშანგისათვის მიმერთმია (მისი დის ნინოს ხელით გავუგზავნე). ლექსი ვალერიან გაფრინდაშვილის სონეტის გავლენით იყო დაწერილი და სათაურიც ამ სონეტის ერთი სტრიქონიდან იყო აღებული: „ნუთუ თავის ხმას ორფეოსი არ გაგვაგონებს?!“.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უშანგი თავაზიანი კაცი იყო და ლექსის ავკარგიანობაზე არაფერი უთქვამს, მაგრამ ეტყობა, ესიამოვნა, რადგან თავისი სურათი (ჰამლეტის როლში) გამომიგზავნა საოცარი წარწერით „პატივცემულო გოგი! მოგიძღვნით საუკეთესო სურვილებს, როგორც მიმავალი — მომავალს!“.

ეს სურათი ჩემთვის ყველაზე ძვირფასი რელიქვიაა.

ორმოცდახუთი წელია უშანგი სცენაზე აღარ არის, მაგრამ მისი დიდების შარავანდედს ელვარება არ მოჰკლებია. კვლავ ამაყად და მოწიწებით გაისმის მისი სახელი, სახელი, რომელიც ნიჭიერების, კეთილშობილების, ვაჟკაცობის ეტალონად იქცა თეატრში.

## კეთილი მესვეური



შალვა ღამბაშიძე — დესილვა („ურიელ აკოსტა“).

ქართული თეატრის ისტორიაში შალვა ღამბაშიძეს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ქართველ საბჭოთა მსახიობთა უფროსი თაობის ბრწყინვალე თანავარსკვლავედში იგი ერთ-ერთი კაშკაშა მნათობი იყო და თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ჩვენი ერის სულიერ საგანძურში.

შალვა ღამბაშიძე იყო კოტე მარჯანიშვილის უახლოესი და უსაყვარლესი მოწაფე, პირველი ქართული საბჭოთა თეატრის და შემდეგ მარჯანიშვილის თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მისი დიდი ბურჯი.

მართალი, უტყუარი, მომხიბვლელი — ასეთი იყო შალვა ღამბაშიძე სცენაზე, ასეთი იყო იგი ცხოვრებაში.

ჩინებული ქართულით მეტყველებდა; ყოველი მისი სიტყვა გამთბარი იყო დიდი ადამიანური გრძნობით, უაღრესად გულჩვილი და სათნო ხასიათი ჰქონდა, უცებ იფეთქებდა, მაგრამ მალევე მშვიდდებოდა. დიდი იუმორის გრძნობა გააჩნდა, მშვენივრად შეეძლო თავშესაქცევი ამბების მოყოლა და ყურის გდებაც იცოდა. მაგრამ თეატრა-

ლური ეთიკის მცირეოდენ შებღალვასაც ვერ იტანდა.

ყოველი სპექტაკლი მისთვის პრემიერა იყო. მის გამოცდილ თვალსა და ყურს არაფერი გამოეპარებოდა, მსახიობს ერთ ყალბ ინტონაციას (მაყურებლისათვის ხშირად შეუმჩნეველს) არ აპატიებდა. ამ შესანიშნავი თვისების წყალობით შალვა ღამბაშიძემ მის მიერ დადგმულ სპექტაკლებში ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი ანსამბლების შექმნა შესძლო. ამის საილუსტრაციოდ მარტო „კოლმეურნის ქორწინებაც“ კმარა.

ჩემი თაობისათვის (ამჟამად მარჯანიშვილის სახელობის თეატრის საშუალო თაობა) შალვა მზრუნველი მამა და სულიერი მოძღვარი იყო, მან მიგვიღო თეატრში, მან დაგვილოცა პირველი ნაბიჯები სცენაზე, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ყურადღებას არ გვაკლებდა, გვასწავლიდა, გვამხნევებდა, გვტუქსავდა და გვეფერებოდა.

...მიმდინარეობდა „მეფე ერეკლეს“ მესამე მოქმედების პირველი სურათი — „დაღვრილი სადღეგრძელო“. შალვა ღამბაშიძე პაატა ბატონიშვილის როლს ასრულებდა. ამ მოქმედებაში მას ტექსტი არ ჰქონდა, ცალკე მაგიდასთან იჯდა შეთქმულ თავადებთან ერთად. ერთ-ერთ შეთქმულს მე ვთამაშობდი და მის გვერდით ვიჯექი. მეფე ერეკლეს (ვ. გოძიაშვილი) მონოლოგის დროს უცებ მესმის შალვას ჩურჩული: „გოგი, შეხედე, შეხედე!“ „ვის შევხედო, ბატონო შალვა?“ — ჩურჩულით შევეკითხე. „ილოს შეხედე, ილოს“. ილო გედევანიშვილი მაშინ ახალგაზრდა მსახიობი გახლდათ. პატრი ნიკოლას მხლებელ იეზუიტ ბერს თამაშობდა და სცენის მეორე მხარეს, ჩვენს პირდაპირ იჯდა. გავხედე. მართლაც შესანიშნავი გრიმი გაეკეთებინა, ნამდვილ იეზუიტს ჰგავდა, ძალზე გამოირჩეოდა და ყურადღებას იპყრობდა. მთელი სცენის განმავლობაში შალვა ჩურჩულებდა: „დედა, დედა, ეს რა გრიმი გაუკეთებია, შეხედე რა სახე აქვს!“.

დამთავრდა სცენა. ჩვენ გრიმის მოსახსნელად ავედით, მეომრის კოსტუმები უნდა გადაგვეცვა ბოლო მოქმედებისათვის. ოთახში შალვა შემოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ მას მეტად სერიოზული სცენა ჰქონდა სათამაშო, მაინც გულმა ვერ მოუთმინა და მაღლა ამოვიდა. ნეტავი გენახათ, როგორ შეაქო, შეამკო ილო, რამდენი რამ მაფიქრებინე შენზეო, აი, როგორ შეიძლება უსიტყვო როლიდან ასეთი სახის შექმნაო.

რამდენიმე დღის შემდეგ ი. გედევანიშვილმა ერთ-ერთი მთავარი როლი მიიღო ახლად განაწილებულ პიესაში (ალბერიგოს როლი „ცეკვის მასწავლებელში“).

ასე იცოდა შალვა ღამბაშიძემ კარგის დანახვა. არ გამოეპარებოდა ცუღლუტობაც. სპექტაკლი „ურიელ აკოსტა“ განსაკუთრებით უყვარდა. მესამე მოქმედების დროს, როცა ყველა მონაწილე სცენაზეა (ურიელის მონანიების სცენა), ვიგრძენით, რომ შალვა რაღაცაზე გაბრაზდა. ვერ მივხვდით, რა მოხდა. მოქმედება დამთავრდა. მაღლა ავედით გრიმის მოსახსნელად და ვხედავთ შალვა კიბეზე ამორბის, გაფითრებული მივარდა ერთ ახალგაზრდას და მთელი ხმით უყვირა: „შე უსინდისო, თეატრი სისხლითა და ცრემლით მოგვიტანია, როგორა ბედავ მის აბუჩად აგდებას?!“ ის ახალგაზრდა რაბინებში გამოდიოდა, თურმე ლაქის წასმა დაეზარა და წვერი რეზინით ჰქონდა მიმაგრებული. შესაძლოა, ეს მაყურებელს ვერც შეემჩნია, მაგრამ შალვას არ გამოეპარა; ამის შემდეგ ვერავინ ბედავდა რეზინის ხმარებას.

ჩვენი თეატრის საყვარელი თავკაცის, ყველას მოსიყვარულე მზრუნველი და კეთილი მეგობრის შალვა ღამბაშიძის თავდადება და უსაზღვრო სიყვარული თეატრისადმი ყველასათვის სამაგალითო იყო. მისი „გედის სიმღერა“ იყო სპექტაკლი „მარიამ სტიუარტი“, სადაც გრაფ შრუსბერის როლს ასრულებდა. პრემიერაზე თავი ცუდად იგრძნო, მაგრამ არავის გააგებინა, რათა ახალი სპექტაკლის დაბადებით გამოწვეული ბედნიერი წუთები არ ჩაეშხამებია. მხოლოდ თავის მეუღლეს ა. დონჯანელს სთხოვა, ტარიელს დაუძახეო (ტ. საყვარელიძე მისი დუბლიორი გახლდათ) და გააფრთხილა: „ცუდად ვარ, თუ სპექტაკლის დამთავრება ვერ შევძლო, მზად იყავი!“

სპექტაკლის დამთავრებისას შალვა საავადმყოფოში გახდა წასაყვანი, სამი დღის შემდეგ კი ყველა შეაძრწუნა მისი გარდაცვალების საშინელმა ცნობამ.

ოცდახუთი წელი გავიდა მას შემდეგ. მაგრამ შალვა ღამბაშიძე ჩვენთან არის, ჩვენი თეატრის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვენს გაჭირვებასა თუ დალხინებაში. ჩვენს მომავალ გამარჯვებებშიც არის მისი ღვაწლი.

შალვა ღამბაშიძის სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა.

# გულითადი პიერი



პიერ კობახიძე — ფერდინანდი („ვერაგობა და სიყვარული“).

კ. მარჯანიშვილის თეატრში პიერ კობახიძეს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. იგი მრავალი წლის მანძილზე ეწეოდა დიდსა და საპატიო ტვირთს — იყო თეატრის წამყვანი შემოქმედი. მან მრავალი სახე შექმნა ჩვენს სცენაზე და მრავალი ძვირფასი ფურცელი ჩასწერა ქართული საბჭოთა თეატრის მატიანეში.

ჩემი თაობისათვის პიერი იყო არა მარტო უფროსი თაობის მსახიობი, არამედ უფროსი ძმა, სამაგალითო ადამიანი, მეგობარი, ახალგაზრდობის მხურვალე ქომაგი და მხარდამჭერი.

როგორ უყვარდა პიერს მეგობრები ეს კარგად ჩანს მის ლექსებში, მის გამოსვლებში, მოგონებებში, მის ხატოვან, ფრთიან გამოთქმებში.

...სპექტაკლის შემდეგ ხშირად ვრჩებოდით თეატრში, ვსაუბრობდით, ვკამათობდით, ეს შეხვედრები მეგობრული ვახშმით მთავრდებოდა. მერე მივდიოდით უშანგის სახლთან (მოსკოვის ქუჩაზე ცხოვრობდა, მეორე სართულზე, აივნიან ბინაში) და ვუმღეროდით „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“. ვმღეროდით დაბალი ხმით, დავიძახებდით „უშანგი, უშანგი!“ ზოგჯერ ის სანუკვარი აივნის კარი გაიღებოდა და უშანგი მადლობის ნიშნად ხელს დაგვიქნევდა ხოლმე, ჩვენც უზომოდ ბედნიერები ვიშლებოდით.

ერთხელ ეს ამბავი პიერს ვუამბეთ. პიერს თვალებზე ცრემლი მოადგა და გვითხრა: მოდით, ამაღამ მეც წამიყვანეთ უშანგისთანო. ასეც მოვიქეცით, ავედით, ვიმღერეთ, დავამთავრეთ სიმღერა და გავჩერდით. უცებ თითქოს წინასწარ შეთანხმებული იყო, გაისმა პიერის ჩურჩული: „უშანგი, უშანგი!“ აივნის კარი გაიღო და უშანგი გამოჩნდა. „ამობრძანდით, ყმაწვილებო!“ — გადმოგვძახა მან. ჩვენ გახარებულები ავცვივდით, უშანგიმ ბოდიში მოგვიხადა და საწოლში ჩაწვა. ჩვენ შორიახლო დავჯექით. პიერი მივიდა, გადაკოცნა. „უშანგი ძვირფასო, როგორა ხარ, ჩემთან თეატრში, ხომ იცი, როგორ გვიჭირს უშენოდ!“.

უშანგის დიდრონ, საოცრად მეტყველ თვალებში სიხარულის ცრემლი აუციაფდა: „პიერ საყვარელო, მიხარია რომ გხედავ... გმადლობთ, ყმაწვილებო!“

პიერმა თვითეული ჩვენგანი წარუდგინა უშანგის და, რაც მთავარია, ყველას გვაჩვენა, თუ როგორ უნდა უყვარდეს შემოქმედს შემომქმედი, ვაჟკაცს — ვაჟკაცი!

პიერ კობახიძის შემოქმედების გვირგვინი „ურიელ აკოსტა“ გახლდათ. 24 წლისამ შესცვალა დიდი უშანგი და 55 წლისამ დაამთავრა იგი.

1963 წელს სოხუმსა და ბათუმში ვიყავით გასტროლებზე. რეპერტუარში იყო „ურიელიც“. მესამე მოქმედების პირველი სურათი პიერმა ჩვეულებისამებრ დიდი აღმაფრენით ჩაატარა და როდესაც ავარდა კიბეზე სიტყვებით: „მივალ, მივდივარ, მივალ, მივდივარ!“ ფეხი დაუცდა და კიბიდან გადავარდა (არ ენთო მორიგი ნათურა და კიბეც თავის ადგილზე არ იდგა). სცენის მუშამ ხელი შეაშველა, თორემ იქვე დაიღუპებოდა, მაგრამ თავი მაინც დაარტყა. ბათუმში რომ ჩავედით, პიერი თავს ცუდად გრძნობდა.

ბედნიერება მქონდა წლების განმავლობაში პიერთან ერთად მეთამაშა სცენაზე. ძალზე მიყვარდა „ურიელი“ და როცა სცენიდან გავდიოდი, კულისებში ვიდექი და თვალს არ ვაშორებდი მას. ზეპირად ვიცოდი პიერის ყოველი ინტონაცია, მისი სულის ყოველი მოძრაობა. იმ დღეს ბათუმში კი შეუდარებელი იყო, სცენაზე იდგა დიდი ხელოვანი!

ქალბატონმა ვერიკომ უთხრა: „დღეს ველარ გცნობ, პიერ, სულ სხვანაირი ხარ, რა დაგემართა?“.

პიერმა სევდანარევი ხმით იხუმრა: „თავი მტკივა, მხოლოდ გულითდა ვთამაშობ!“

საგრიმიერო ოთახში სამნი ვიყავით: ბატონი პიერი, ვასო გოძიაშვილი და მე. მესამე მოქმედების შემდეგ პიერი შემოვიდა, პარიკი მოიხსნა და თქვა: „მეტი. აღარ შემიძლია!“ შუბლი მთლად სისხლისფერი ჰქონდა. ვასო გოძიაშვილი იშვიათად მინახავს ასე შეწუხებული, წამოვარდა, პირსახოცი დაასველა და შუბლზე დაადო: „პიერ, რას სჩადი, ძმაო, თავს გაუფრთხილდი!“ პიერი თვალდახუჭული ისვენებდა, გაისმა მესამე ზარი, პარიკი მივაწოდე: ბატონო პიერ, ერთი მოქმედება დარჩა! — ვუთხარი მე.

პიერი მომიბრუნდა და მითხრა: „გოგი, მე ველარასოდეს ვითამაშებ ურიელს!“

სამწუხაროდ ასეც აღსრულდა. პიერ კობახიძე სცენაზე აღარ გამოსულა. რამდენიმე დღეში გასტროლები დამთავრდა. პიერი სოხუმში წავიდა დასასვენებლად. ერთი კვირის თავზე კი „ურიელის“ ჰანგები მიაცილებდნენ უკანასკნელ გზაზე.

კოტე მარჯანიშვილის თეატრმა ამ რამდენიმე ხნის წინ აღნიშნა პიერ კობახიძის დაბადების 70 წლისთავი. ხსოვნის საღამოს მუდამ სევდა ახლავს, აქ კი სატირლად მოსული მისი მეგობრები და მაყურებლები მხიარულად იგონებდნენ პიერს... თითქოს პიერი ჩვენთან იყო — ცოცხალი, მომღიმარი, სალაღობოდ შემართული — ეს არის ჭეშმარიტი ხელოვანის ხვედრი, სწორედ ამაშია კოტე მარჯანიშვილის თეატრის ძალა და მადლი!

გიორგი ტატიშვილი,

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

გიორგი გულია

მოთხრობა

# შუქი ჩააქრო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო და პეტრე ჭელიძეებს.

— მე შენ ხომ სულაც არ გიცნობ?
— ეს როგორ გავიგო?
— როგორც გეუბნები!
— მე ტებს მეძახიან. უკვე ორი თვეა ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ.
— ვიცი!
— ჩემი გვარია ...
— ვიცი!
— ტრაქტორისტი ვარ!
— ყოველივე ეს ცნობილია!
— მაშ, რაღა გინდა?!

ვაჟი ისე იყო ამოგანგლული, თითქოს ძველი დროის ბუხრის მწმენდელი ყოფილიყო. ოცდასამი წლის ტებ ქარჩაა არც მაღალი იყო, არც დაბალი, არც სქელი, არც გაძვალტყავებული. როგორც იტყვიან, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა გახლდათ.

ცხრამეტი წლის ქალიშვილი სახექათქათა, კოპწია და მოხდენილი იყო. ჟორჟეტა ხურხმალს ეძახდნენ პარიზელის სახელის მქონე ამ ნამდვილ აფხაზ ქალიშვილს. მას შავი, მაყვლისფერი თვალები ჰქონდა, ვაჟს კი — ცისფერი, სკანდინავური.

ვაჟი დაბლა იდგა, ქალი — აივანზე. რაკურსი ოდნავ უცნაური იყო და ტრაქტორისტი უნებურად ტკბებოდა ქალიშვილის მუხლების ცქერით. ქალის ფეხებთან კი ვაჟის გრუზა ქოჩორი ბრწყინავდა, თითქოს ხის პატარა გვირგვინიაო, ამ გვირგვინიდან კი არწივის ნისკარტივით მოკაუჭებული ჭვინტი მოუჩანდა. მხოლოდ ერთი რამ იყო გაუგებარი: ამ ღუმელის მწმენდელ ბიჭს საიდან დაჰყვა ნუშისმაგვარი თვალები?!

— არა, მე შენ სულაც არ გიცნობ, — გაუმეორა ჟორჟეტამ და ფეხსაცმლის ჭვინტი რიკულებს შორის შეჰყო. თითქოს სევილიელი, ესპანელი ქალი ყოფილიყო.

ფეხსაცმლის ჭვინტის დანახვამ აფხაზს ყურები დააცქვეტინა.

— შენ მე მასხრად მიგდებ! — უთხრა განაწყენებულმა.

— სიმართლეს გეუბნები!

საქმეს სერიოზული ხასიათი ეძლეოდა და ვაჟი ხუმრობას უნდა შეშვებოდა. რაკი ჟორჟეტა პასუხისმგებლობით აცხადებდა, მე მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს ვამბობო, ესე იგი, ლაყბობიდან საქმეზე უნდა გადასულიყო. ბიჭმა ფაფარი ისე შეარხია, როგორც სოხუმის ჯირითში მონაწილე ცხენებს სჩვევიათ. ერთი წამიც არ გასულიყო, რომ გადაწყვეტილება სავსებით მომწიფებოდა.

— ჟორჟეტა! მე ასძალოვანი ტრაქტორი მაქვს. იგი მუხლუხებით დადის. დიზელიანია და სალიარკით მუშაობს!

— მერე რა მოხდა?!

— წინ სახნისი აქვს მიმაგრებული, ბულდოზერი ჰქვია.

— სახნისი რაღად უნდა?
— მიწის გადასახვეტად.
— სად უნდა გადახვეტოს?
— სხვადასხვა მხარეს.
— რატომ სხვადასხვა მხარეს?
— შეიძლება ერთადაც დაახვავოს.
— სად ერთად?
— ეს სამუშაოთა მწარმოებლის საქმეა.
— იმისა, იმ წითურისა?
— ჰო, წითურის!

ფეხსაცმლის ჭვინტი აივნის რიკულს ამოეფარა, ამ დროს ღრუბლებიდან კადნიერად აკაშკაშებულმა მთვარემ გამოიხედა. იმან კი არა, ადრინდელმა, ვოლფრამისფრად მოელვარემ, არამედ ახალთახალმა, დღის ნათურასავით გალაულაუებულმა. სწორედ ამის გამო იყო განსაკუთრებულად კადნიერი.

— მერე შენ ასძალოვანი მანქანა გემორჩილება? — უნებურად, როგორღაც დაეჭვებითაც კი ჰკითხა ჟორჟეტამ, თითქოს მის წინაშე ქოსატყუილა მდგარიყო და არა ნამდვილი ტრაქტორისტი-მებულდოზერე.

ვაჟმა საათს დახედა — თორმეტი დაწყებულიყო.

— ჟორჟეტა, მალე აპირებ დაწოლას?
— რა გინდა?
— ცოტა ხანს დამიცადე!

იგი რაიონული ცენტრის ვიწრო ქუჩაში გავარდა.

— დამიცადე! — შეუჩერებლად გამოსძახა მან.

ახლა, როცა შეყვარებული ტრაქტორისტი ამ შუაღამისას ქუჩაში გარბის, შეგვიძლია მკითხველს ტებ ქარჩაას მცირე, მაგრამ საკმაოდ გაბედული გეგმა გავაცნოთ.

თუ არ გიჯერებენ, უნდა დაუმტკიცო. მერედა როგორ სჯობს დამტკიცება? ცხადია, საქმით. ტრაქტორისტმა იგრძნო, რომ ტრაქტორზე განყენებულმა საუბარმა ქალიშვილზე დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ეს მისთვის იგივე ინდიკატორული მრუდის ან ჭრილში დგუშების მუშაობის დემონსტრირება გამოდიოდა. ქალები ნებისმიერ საუკუნეში საკმაოდ ფლობდნენ პრაქტიციზმს. ეტყობა, ეს თვისება არც ოჩამჩირელ ჟორჟეტა ხურხმალს აკლდა. ამიტომ ვაჟს ნათლად გამოეკვეთა ერთადერთი გზა — თვალსაჩინოების გამოყენება. ასე თუ ისე, სწორხაზოვნად უნდა ემოქმედნა: ტრაქტორზე დამჯდარიყო, აივანთან მიეყენებინა და ჟორჟეტა გაესეირნებინა. მაშინ მიხვდება, რას ნიშნავს ასძალოვანი ტრაქტორის ოსტატური მართვა! ვაჟმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო და უკან აღარ დაუხევია.

ტებ ქარჩაამ ტრაქტორთან მიირბინა. ფოლადის უზარმაზარი მანქანა მთვარეს იალბუზის მწვერვალივით გაენათებინა. ისეთი ლაპლაპი გაუდიოდა, გეგონებოდათ, თოვლისააო.

ტებმა თვალი შეავლო მანქანას, რომელსაც მთელი დღის მუშაობის შემდეგ გაციება ვერ მოესწრო. საბედნიეროდ, ტრაქტორი ადვილად დაიქოქა.

მოულოდნელად მეზობელი სახლის ფანჯარა განათდა.

— ჰეი, რომელი ხარ მანდ?! — გამოსძახა ნახევრად შიშველმა საწყობის გამგემ. ეტყობოდა, მას ჯერ კიდევ არ ეძინა.

— ტრაქტორი გადამყავს! — უთხრა ტრაქტორისტმა.

— რაო? გამაგონე, რა თქვი?!

— ტრაქტორი გადამყავს-მეთქი!
— სად მიგყავს?
— ზღვისკენ!

— კი მაგრამ არ შეგეძლო, უფრო ადრე გადაგეყვანა? — საწყობის გამგემ ხელი ჩაიქნია და შუქი ჩააქრო.

ქარჩაამ სიჩქარე ჩართო. უზარმაზარი მანქანა ქვაფენილზე დგანდგარით დაიძრა და ახლომახლო მცხოვრებთ ძილი გაუფრთხო.

შუაღამე იქნებოდა, როცა ტრაქტორი იმ სახლთან „მივიდა“, სადაც ჟორჟეტა ცხოვრობდა. ადვილი სათქმელია „მივიდა“. განა ცეცხლისმფრქვეველ მთას მისვლა შეუძლია? იგი სპილოსავით დაატყდება თავს ადამიანებს თუ ქუჩებს. სპილოსავით კი არა, მამონტივით. როგორც ორი, სამი, ათი ლოჯებიანი, გაბანჯგვლული მამონტი; სწორედ რომ მამონტივით....

— ჟორჟეტა, დაჯექი! — ქარჩაამ თავის გვერდით თავისუფალ ადგილზე მიუთითა.

ქალმა კიბე ჩაირბინა, ჭიშკარში გავარდა და აღტაცებისაგან ენაჩავარდნილი მოგუგუნე გოლიათის წინ გაჩერდა.

— შენია ეს ტრაქტორი? — ჰკითხა ჟორჟეტამ, უჟანგავი დანებივით პრიალა მუხლუხებს რომ მისჩერებოდა.

— ჰო, ჩემია!

ქალიშვილი ვაჟის გვერდით მოთავსდა. მანქანა დასძრა. იგი რყევა-გუგუნით გაღოღდა მიწაზე. ასიოდე მეტრი რომ გაიარეს, უცებ ტებმა სახელურები მკვეთრად შეაბრუნა და ტრაქტორი ადგილზე დატრიალდა. მისი სიმძიმის ქვეშ ქვები ღერღილივით იფშვნებოდა. ქალს სუნთქვა შეეკრა, მანქანიდან რომ არ გადავარდნილიყო, სახელურს ჩააფრინდა.

შემდეგ ვაჟმა კიდევ გადაწია რომელიღაც სახელური და ისინი საწინააღმდეგო მხარეს გაქანდნენ. ძრავა ღრიალებდა. მისი ღრიალი სადღაც შიგნიდან ხვდებოდა გულს და ეს ხმაური აუტანლად ეჩვენებოდათ. ჟორჟეტა ხან მაღლა ავარდებოდა, ხანაც გვერდზე იხრებოდა, ციებიანივით აძაგძაგებდა.

ტრაქტორი კი ჯიუტად, დაუცხრომლად მიიწევდა წინ. ტები გაზს არ იშურებდა. როგორც იტყვიან, მთელი ძალით აწვებოდა. ქუჩის ბოლოს რომ მიაღწია, მანქანა კვლავ დატრიალდა ვერტიკალური ღერძის გარშემო. ჯოჯოხეთურმა კარუსელმა საბრალო ჟორჟეტა კინაღამ მოისროლა, თუმცა იყოჩაღა და თავი შეიკავა. შეშინებულს რონ არ დაეყვირა, ქვედა ტუჩს კბილები დააჭირა. კიდევ უფრო მეტად ჩააფრინდა სახელურს.

ვაჟი კი ისე იჯდა, თითქოს არაფერი არ ხდებაო. გეგონებოდათ, ბალიშებზე დაბრძანებული ფაშააო. თვალები ქაჯივით წამონთებოდა, ცხვირი ისე ჰქონდა მაღლა აწეული, თითქოს თავდასასხმელად წამოსულ ნადირს უნდა ჩაუნისკარტოსო. ვაჟს უზარმაზარი ხელებით სახელურები იმ კალმისტარივით ეჭირა, რომლითაც პირველ კლასში



მხატვარი თენგიზ სამსონაძე

აწერინებენ ბავშვებს. ჟორჟეტას მოეჩვენა, მთელი ეს ხმაური, ეს სპილოსებური მოძრაობა, ძრავაში გაჩენილი ხანძარი მისი ხელების ნახელავი იყო. უფრო სწორად, მოდიოდა მისი გულიდან, ხელებს რომ ანიჭებდა ძალას, მერმე ეს ძალა ხელებიდან სახელურებში გადადიოდა, სახელურებიდან — ძრავასა და მუხლუხებში, რომლებიც მთვარის შუქზე დამასკურ ორლესულზე უფრო ძლიერად ლაპლაპებდა.

ტრაქტორმა ტრიალი შეწყვიტა და ქუჩაზე დგრიალით დაეშვა. იგი კამეჩშებმული ურემივით მიზოზინობდა. ქალიშვილს მოეჩვენა, რომ მსუბუქ მანქანაში გადაიყვანეს და ზამბარებიან საჯდომზე ფრთხილად დასვეს.

ახლა შეეძლო ღამის პეიზაჟის ცქერით დამტკბარიყო. ნელა მოძრაობდნენ სახლები, ღობეები, ხეები. თითქოს ჟორჟეტა ტბის ზედაპირზე ნავით მიცურავდა.

ერთ წამში, ჟორჟეტას მოეჩვენა, ეს ერთ წამში მოხდაო, ქუჩა უკან მოიტოვეს და ტებმა თავისი მანქანა უკაცრიელ ადგილას გაიყვანა. ფარები კაშკაშებდა და სიბნელეს ხან ორმოებს სტაცებდა, ხან ბორცვებს. ტრაქტორისტმა შედარებით მაღალი ბორცვი შეარჩია, უზარმაზარი სახნისი, ტრაქტორის წინა მხარეს რომ ამშვენებდა, ღრჭიალით დაუშვა და ირგვლივ ნაპერწკლები დააფრქვია.

მართალია, ტრაქტორი ასძალოვანი იყო, მაგრამ წამით მაინც შედრკა. არა, წამით კი არა, წამის რაღაც ნაწილით. ორთაბრძოლა სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა და ტებ ქარჩაას გული სიხარულით აუჩქროლდა — ტრაქტორმა თავისი გაიტანა — მან გაიმარჯვა! ტრაქტორმა ბორცვი პიოწმინდად აილო და ტონობით მიწა სადღაც სიბნელისაკენ გაათრია.

ტებმა ტრაქტორს უკან დაახევინა, შუბლზე ოფლი მოიწმინდა. ჟორჟეტა მთვარეზე უფრო გაბადრულიყო. გახარებულმა ტაში შემოჰკრა.

— მორჩა! მორჩა— გაიძახოდა იგი, — თითქოს აქ ბორცვი არც ყოფილა! ყოჩაღ!..

თითქოს გაბრაზდაო, ტები თავის რკინის რაშს მოახტა და რამდენიმე ბორცვს მედგრად შეუტია. მიწა რომ გაასწორა, ტრაქტორი ქალაქისაკენ მკვეთრად შეატრიალა.

ჟორჟეტას თავი სტკიოდა და ხელები უცახცახებდა. იგი ველარ ხედავდა ვერც მთვარეს, ვერც ზეცასა და ვერც ქუჩას, რომელზედაც კვლავ დგრიალით მიდიოდა ტრაქტორი.

უცებ ფარებით გალაზლაზებულ ქუჩაზე ვიღაცის ფიგურა წამოიმართა. რაკი მოახლოვდა, შენიშნეს, კაცი წითური რომ იყო. „სამუშაოთა მწარმოებელი", — გაუელვა ტრაქტორისტს.

— რას შვრები, ბიჭო?! — გაბოროტებით ჰკითხა სამუშაოთა მწარმოებელმა.

— მე?

— ჰო, შენ!

არის ხოლმე ისეთი წუთები, როცა შენს ნაცვლად თითქოს ვინმე სხვა ლაპარაკობს: თანაც უფრო საზრიანად, ვიდრე შენ, უფრო მახვილგონიერად, ვიდრე შენ; უფრო ზუსტად, იგი ფიქრობს, შენ კი მის ნაფიქრს ხმამაღლა იმეორებ.

— რას ვშვრები და, — თქვა ტრაქტორისტმა, — ამას დავატარებ, — და თავით ტრაქტორზე ანიშნა.

— რატომ?

— ვსეირნობ!

— ვის ასეირნებ?

ტებმა ფერგამკრთალ, აცახცახებულ, შეშინებულ ქალიშვილზე ანიშნა.

— ამ შუაღამისას რატომ უფრთხობ ხალხს ძილს?! — მან ტრაქტორისტი განზე გაიხმო, — ვინ არის ეს გოგო?

— ჟორჟეტა ხურხმალია!

— გიყვარს?!

ტების ნაცვლად ისევ სხვამ უპასუხა:

— თუ მიყვარს?!

სამუშაოთა მწარმოებელი თმას იჩეჩავდა და ნამძინარევ თვალებს იფშვნეტდა. ტრაქტორისტი კი ჩინებულად გრძნობდა თავს. ყველაზე მეტად იმის ეშინოდა, ჟორჟეტაზე ცუდი რამ არ ეფიქრონო.

— ათ კილოგრამ სალიარკას ჩემი ფულით ვიყიდი! — დაიბუბუნა მან.

სამუშაოთა მწარმოებელმა კინაღამ გადაიხარხარა.

— ტრაქტორი ადგილზე დააყენე და დასაძინებლად წადი! — უბრძანა მან.

ტები ტრამპლინს მოწყვეტილი ცირკის არტისტივით შეხტა მანქანაზე, ცხადია, ტრაქტორი მთელი ძალით გააქანა.

ქალი მისკენ დაიხარა:

— რა გითხრა?

ვაუმა ხელი ჩაიქნია. მცირე ხნის დუმილის შემდეგ კი დაიყვირა:

— თუ ის გოგო გიყვარს, ასეთ რამეს არავინ გაგიმტყუნებსო!

მგონი, ქალმა გაიგონა ეს სიტყვები, მაგრამ არ შეიმჩნია. იქნებ მეტისმეტად აძიგძიგებდა, რადგან როცა ვაუმა უშველა მიწაზე ჩამოსვლა, ქალი ფეხზე ძლივს იდგა. გამოთხოვებისას ძლივს გაუწოდა ხელი.

— ალბათ, მოგხვდება სამუშაოთა მწარმოებლისგან.

— შეიძლება! — უთხრა ვაუმა.

— გულბოროტი კაცია?

— კი, როცა გამოუძინებელია!

— ძალიან კი მებრალები!...

— რატომ?

— შენ ხომ ჩემთან მაშინ მორბიხარ, სამუშაოს რომ მორჩები.

— მერე რა მოხდა?

— ასეთი სამუშაოს შემდეგ!..

ვაუმა შუბლი მოიფხანა.

— კარგი, — უთხრა ტებმა, — ნახვამდის!

ტრაქტორისტმა დაიცადა, სანამ ჟორჟეტა მაღლა ავიდოდა. მან ფანჯარაში თავი გამოჰყო: ყველაფერი რიგზეაო, ანიშნა.

ვაუმა კი ფრთხილად, ძალზე ფრთხილად, თითქოს თითის წვრებზე გააცალა ტრაქტორი მის სახლს; ფარებიც კი ჩააქრო...

მთვარე კი კაშკაშებდა, კრეონით სავსე, შუაღამის სამხრეთული მთვარე.

თარგმნა ნოდარ ხუნდაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



▲ დედასთან ერთად.

ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს მუხრან მაჭავარიანს დაბადების 50 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „დროშის“ რედაქცია სულითა და გულით ულოცავს იუბილარს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, მთავრობის მაღალ ჯილდოს — შრომის წითელი დროშის ორდენს და უსურვებს მრავალ შემოქმედებითს გამარჯვებასა და ჯანმრთელ სიცოცხლეს ქართული პოეზიის სადიდებლად.

ბონდო დადვაძის ფოტო.

▼ მეტეხთან.





ეროვნული ბიბლიოთეკა

▲ ვახტანგ გორგასალის ძეგლთან.





ეროვნული
ბიბლიოთეკა





გონდო დადვაძის
ფოტო



# რევაზ იაშვილის
## სახელოსნოში

# მამია ახობაძე



გახარებული ნერგი.



ფესვმაგარი მუხა.



ოჯახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სინათლე მთაში.



პეიზაჟი.



პეიზაჟი.

ამირან არაბული



ეროვნული ბიბლიოთეკა

- თიბათვე.
- „სამი მუშკეტერი“.
- „ცნობისმოყვარენი“.
- მეგობრები.
- დაუკარ, ჩემო ფანდურო.









# პოეზია

### სილოვან ნარიმანიძე

## გული

გულო, რამდენი რაიმე შესძელ,
ძალიან ხშირად ეკიდე ბეწვზე...
ათასი რამით გაგახელე,
გზას აგაცდინე,
ხან ნაპირიდან გადაგაგდე, აზვავდი ისე,
ალაზანი რომ ადიდდება აპრილის თვეში, —
გასწევს-გამოსწევს სანაპიროებს,
და გადაუშლის მწვანე მდელოებს...
კაცთა სამწეოდ დაბადებულო,
შენ შეიფარე ყველა თითქმის,
საძმო ვალისთვის მოსული შენთან,
კარს რომ ფხოჭნიდნენ,
მოგიხმობდნენ შუაღამისას.
და როგორც შესძელ
დააპურე, იმედი მიეც...
მუდამ გახსოვდა, მოძმის ჭმუნვა გულსატკენია,
მათ ჭირ-ვარამზე ცრემლიც გდენია.
სულ ოცნებობდი სიკეთეზე, როცა შორს იყო,
ალარსად იყო კაცთ სამყოფი სიკეთე ქვეყნად!
ადამიანის გაურბოდი შურს და ფლიდობას,
ვით უმწეობის, ულონობის დასაბუთებას.
დედამიწა კი,
მარჩენალი და დედა ჩვენი,
უკიდეგანო სივრცეებით, ლაჟვარდოვან ცით,
ათასგვარ ფიქრებს და ოცნებებს აღძრავდა შენში.
ათასნაირად ნაწამები და დაცხრილული,
ატომის ბომბით და წყალბადით, დაშინებული,
პატივაყრილი, შებილწული,
ღირსებით სრული, /
ულონოქნილი გვიყურებდა გაკვირვებული...
გულო, რამდენი რაიმე შესძელ,
რკინა გაცივდა და შენ კი ისევ,
უროსავით სცემ,
წყაროსავით სჩქეფ, —
უსიერ ტყეში წყარო როა,
მაღრანის თავში.
ხან მარცხდები და იდაგები,
ხან კი ბრძოლისთვის ემზადები,
გიხმობენ გზები...
მწუხარედ უმზერ ათასნაირ გაწამაწიას,
როცა შელახულ ღირსებების
მხილველი ხდები,
არც გაყიდულხარ, —
გაყიდული რაღა კაცია,
ნაღდი იყავ და ნაღდივე რჩები!..
გულო, რამდენი რაიმე შესძელ,
წლები წასულან,
გაწევს მათი სიმძიმე მხრებზე,
ბინდი დგება თუ განთიადის ნაზი ფრთებია,
სად მიმაქანებ, წუთით რომ არ დაგისვენია,
საით წავიდა სიყვარულის დიდი სერობა,
გაღელვებს კაცთა ბედისადმი ალმაცერობა...
გულო, რამდენი რაიმე შესძელ,
ხშირად, ო, ხშირად
ეკიდე ბეწვზე,
ათასეული ღამეების მთურგვნელო დედავ,
ძვირფასო ჩემო,
შენც მღალატობ,
ბოლო დროს ვხედავ!

□

ყველა სიბრძნე რომ მახსოვდეს კარგად,
რაც თვალმა ნახა ან გულმა იგრძნო,
რასაც სხეული განიცდის ახლა
და მე მაწვალებს სამარადისოდ.
რასაც მკარნახობს მეუფე, ზენა,
ათას ფერებში, ათას ხვეულში,
რომ გავაცოცხლო გრძელი წარსული,
რაც ჩაკირულა მშფოთვარ სხეულში,
უნდა შევიძლო გადმოვცე ყველა,
დროის ქარი თუ ფიქრი მაღალი...
თორემ ვინ იცის, უთქმელი, ჩუმი,
უფრო მეტსა გრძნობს ნიკორა ხარი...

## ოღონდ ბავშვურად

როგორც ბავშვურად მიყვარდი მაშინ,
როგორც გულწრფელად მჯეროდა შენი,
როგორც სამყაროს მე ვგრძნობდი ბავშვი,
ო, ნეტავ ისე აღსდგეს ყოველი!
ნეტავი ახლაც შემეძლოს ხარჯვა,
ოცნების ჩემის ისევ მჯეროდეს,
დაე, უსაზღვრო მელოდეს ტანჯვა,
ოღონდ ბავშვურად მემღერებოდეს!

### მირანგულ ავსაჯანიშვილი

## მე პოეზიას ხარკს როდი ვუხდი

ფიქრებმა მტვერი ჩამოიბერტყა,
სხივად შეიჭრა ტოტების ხლართში,
ღამის სიზმრები დრუბლებად პენტავს,
ჩემს აზვირთებას ცრემლების ღვართქაფში.

მე ვარ გიტარის ნაწყვეტი სიმი,
ბოლო აკორდზე ხმა რომ ჩაუწყდა,
ვარ ცხოვრებაში უთქმელი მიმი,
ხმაჩავარდნილი თავს რომ გაუწყრა.

თუ ლექსში მოხველ, მან უნდა გიყმოს,
გარგუნოს ტანჯვა და მოთმინება...
ლექსი რა არის? რა უნდა იყოს?!
თუ არ ჯვარცმა და ამოგმინება!

მე ვარ ის მეხი, აგრე რომ ვქუხდი
და ახლა მხოლოდ ლექსით რომ ფეთქავს...
მე პოეზიას ხარკს როდი ვუხდი,
თვით პოეზია ლექსებით მბეგრავს.

## რატომ დაიგვიანე?

დაუბერე, დაუბერე,
იმერეთის ნიავო,
რა ხანია გელოდები,
რაღაც მინდა გიამბო.

გადაეცი ნატრული ვარ
მისი ხმის და ბაგისა,
ვარდი ჰკნება, რამ უშველოს,
წვეთი არ ჩანს ნამისა.

ზენაქარო, არ გაუწყრე,
ტკბილად შეეხმიანე,
საჩურჩულო კრძალვით ჰკითხე,
რატომ დაიგვიანე?

ერთხელ კიდევ მომივლინე
გალვიძება აისის,
გაზაფხული მომიფრინე,
გაზაფხული მაისის.

ქორს წიწილა წაუღია,
წივის — წიავ, წიაო...
უფრო, უფრო დაუბერე,
იმერეთის ნიავო!

# რევაზ იაშვილი

ქართული საბჭოთა მხატვრული კერამიკის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ნიჭიერი შემოქმედის რევაზ იაშვილის სახელი ფართოდაა ცნობილი ჩვენი საზოგადოებრიობისათვის. მხატვრის, რომლის მომავლის რწმენა ვერ შეარყია და ვერ გატეხა მძიმე კატასტროფამ, ვერც ცამეტი წლის შეუპოვარმა ჭიდილმა ამ კატასტროფის შედეგებთან.

...ზედაზნის წყაროსთან წყლის დასალევად ვისაც ჩაუმუხლავს, უთუოდ შეუნიშნავს მხატვრულ ჩარჩოში ჩასმული წყაროები, რუხი ფიქალი და თიხა ჰარმონიულად რომ შერწყმია ერთმანეთს. პირველ წყაროს ჯიხვის თავები ამშვენებს, მეორედან ქალ-ვაჟი გვიცქერის — ვაჟი სავსე ფიალას აწვდის ქალს. ეს წყაროები მხატვარმა რევაზ იაშვილმა გააფორმა.

და ვინ მოთვლის კერამიკის რამდენი შესანიშნავი ნიმუში შეუქმნია მას. რევაზ იაშვილის მადლიანმა მარჯვენამ თიხას მეორე სიცოცხლე შთაბერა. კერამიკოსმა დაამუშავა ქართული სუფრის ჭურჭელი, ფერებში გააცოცხლა დოქები, ლარნაკები და მრავალი სხვა. მხატვრის ნახელავი მუდამ ფორმის ორიგინალობით და მაღალი პროფესიული დონით, დახვეწილი გემოვნებით გამოირჩევა. ამიტომაცაა, რომ მისი ნამუშევრები კერამიკის მსოფლიო გამოფენა-კონკურსებზე გამარჯვების გარეშე არასოდეს არ დარჩენილა. ბელგიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ავსტრიასა და მოსკოვში რ. იაშვილის ნამუშევრებმა დიპლომები, პრემიები, ოქროსა და ვერცხლის მედლები დაიმსახურეს. მისი ნამუშევრები გაგზავნილ იქნა შვეციის, მონრეალის, იზმირის, საფრანგეთის, იტალიის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, იაპონიისა და სხვა საერთაშორისო გამოფენებზე.

ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინათ მრავალი ექსპერიმენტის შედეგად, რომელსაც წინ უძღოდა რ. იაშვილის მონაწილეობა მცხეთასა და მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიურ ექსპედიციებში, მის მიერ აღდგენილ იქნა შავკრიალა კერამიკის უძველესი ტექნოლოგია, ამ ტექნიკაში შესრულებული რევაზ იაშვილის პირველი ნამუშევრები გაიგზავნა ბელგიის მსოფლიო გამოფენაზე. სწორედ ამ ნამუშევრების ახალმა მხატვრულმა ფორმამ და სტილმა საფუძველი ჩაუყარა ქართული საბჭოთა კერამიკის განვითარების ახალ ეტაპს.

შავკრიალა კერამიკა მხატვრის შემოქმედების ერთი მხარეა; ამასთანავე იგი იკვლევს, ექსპერიმენტებს ატარებს კერამიკის სხვადასხვა მასალაზე, გატაცებით მუშაობს მონუმენტურ კერამიკაში. ახლახან მისი ინიციატივით მხატვართა კავშირთან ჩამოყალიბდა „ახალგაზრდა კერამიკოსთა გამოყენებითი და მონუმენტური კერამიკის ექსპერიმენტული შემოქმედებითი სახელოსნო“, რომლის მხატვრული ხელმძღვანელი გახლავთ რ. იაშვილი.

საქართველოს დამსახურებული მხატვრის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორის რ. იაშვილის სახელოსნოს კარები ყოველთვის ღიაა; აქ მოდიან სტუდენტები, ახალგაზრდა კოლეგები. პედაგოგი მათ ყოველთვის უწევს დახმარებას, აძლევს რჩევას.

რევაზ იაშვილს დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა. მხატვარი დღეს, ისევე, როგორც თავისი შემოქმედებითი გზის დასაწყისში, სავსეა ენერგიით, საინტერესო შემოქმედებითი გეგმებით.

მხატვრის სახელოსნოში კიდევ ბევრი ახალი ჩანაფიქრი შეისხამს ფრთებს.

ნუნუ გელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა




# 150 წლის აფთიაქი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში საафთიაქო საქმის დასაწყისი შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ. ისტორიული მნიშვნელობის ლიტერატურულ წყაროში — იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ საყურადღებოა მკურნალობის მანიპულაციის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფრაზა.

„და მე ვარქუ წმინდისა შუშანიკს: „მიბრძანე და მოგბანო, სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თუალითა შენთა შთაცუელ არს და სალბუნი და წამალი დაგადვა, რათა ჰე, ღამე თუ განიკურნო!“ მაშასადამე, V საუკუნეში სალბუნი მალამო და წამლის ფორმა უკვე არსებობდა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იქნებოდა მათი დასამზადებელი ადგილიც. V საუკუნის უფლისციხის ისტორიული ძეგლის ნანგრევების 48-ე და 86-ე ოთახებში შეიმჩნევა თახჩებიანი კედლები, რომლებშიც წამლები და წამლის ფორმების მოსამზადებელი კომპონენტები ინახებოდა უსათუოდ. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (მე-2 ტომი, მე-16 გვერდი) მითითებულია, რომ „საქართველოში წამლების დამზადების წესებს ფლობდნენ და აფთიაქის ტიპის დაწესებულება არსებობდა ფეოდალურ ხანაში. ვარძიის კედლებში ამოკვეთილია სათავსოები, რომლებიც აფთიაქის დანიშნულებას ასრულებდა“. მაშასადამე, XII საუკუნეში ვარძიაში აფთიაქი ფუნქციონირებდა. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან მონათმფლობელურ და შუასაუკუნეების ეპოქაში სამკურნალო საქმეს რელიგია განაგებდა და სწორედ რელიგიურ დაწესებულებებში შენდებოდა ქსენონები-სასნეულოები და წამლების სახლი — აფთიაქები. ამას ადასტურებს არა ერთი წერილობითი წყარო და ნიშანდებული ფაქტი.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველოს სამეცნიერო საბჭომ 1978 წლის 9 ოქტომბრის თარიღით მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით ვარძიის წამლების სახლში მიყვანილია ტურისტული ბილიკი. ეს სახლი 800 წლის „აფთიაქ მუზეუმად“ არის გამოცხადებული და მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი წამლების სახლი-აფთიაქია.

საქართველოს ძხელბედობის პერიოდში იგრძნობა აფთიაქების ფუნქციონირების შესახებ ცნობების ნაკლებობა; ცნობილია, რომ 1740 წელს სპარსეთიდან მოწვეულმა იაკობ რეინეკმა, ეროვნებით უნგრელმა, გახსნა ერეკლე მეორის სასახლეში აფთიაქი და სამედიცინო სკოლა.

სამედიცინო მომსახურეობის გაუმჯობესების და აფთიაქების აღდგენაზე ზრუნვა იწყება XIX საუკუნის დასაწყისში. სანკტ-პეტერბურგიდან მიღებული იქნა ნებართვა 1805 წლის 5 მაისის თარიღით, ხოლო 1806 წლის 28 თებერვლიდან მუშაობა დაიწყო პირველმა სამხედრო აფთიაქმა ჰოსპიტალში. საარქივო მასალაზე დაყრდნობით, აკადემიკოს იოველ ქუთათელაძის მიერ დადგენილი თარიღით. პირველი ღია ტიპის სამოქალაქო აფთიაქი თბილისში გაიხსნა სოლოლაკში, პროვიზორ ფლორ შონბერგის მიერ 150 წლის წინათ.

იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხვდა ფლორ შონბერგი საქართველოში პირველი აფთიაქის გამხსნელად, საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი ისტორიული ფაქტის მოშველიება და გაანალიზება.

ცნობილია, რომ XVIII-XIX საუკუნეებში არსებობდა რუსულ-გერმანული სამედიცინო კავშირები

საქართველოში გერმანელი პროვიზორების ემიგრაცია და ჩვენში საафთიაქო ქსელის განვითარების პირველი ნაბიჯები უშუალო ანარეკლია რუსულ-გერმანული სამედიცინო კავშირების განვითარების. როცა საქართველოში არ იყო ნაციონალური კადრები, გარდამავალ პერიოდში და XX საუკუნეში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სააფთიაქო საქმის მონოპოლია გერმანელი პროვიზორების ხელში იყო. შონბერგი, შმიდტი, გეინი, აიზრიხი, ოტტენი, ზემელი, შემახი. შონგარტი, ვიტარეტი და სხვები. ის პროვიზორები არიან, რომელთა მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული საქართველოში საафთიაქო ქსელის განვითარება.

1829 წელს გახსნილი აფთიაქი კერძო მფლობელმა პროვიზორმა ფლორ შონბერგმა 1838 წელს მიჰყიდა პროვიზორ კარლ შმიდტს 7 წლის მონოპოლიის შენარჩუნების ვადით, მაშასადამე — 1845 წლამდე. კარლ შმიდტმა ითხოვა მონოპოლიის ვადის გაგრძელება 10 წლით, თანაც იმ პირობით, რომ იგი კიდევ ერთ ახალ აფთიაქს გახსნიდა.

აღნიშნული აფთიაქი შმიდტმა გადაიტანა დღევანდელი ლერმონტოვის ქუჩაზე, ამჟამად № 15-ში მდებარე სამსართულიან სახლში, რომელიც მის კერძო საკუთრებას წარმოადგენდა. 1872 წელს შმიდტმა ხსენებული აფთიაქი მიჰყიდა მიხეილ შახპარონიანცს, რომელმაც აფთიაქი გადაიტანა მაშინდელი სერგიევის



ლ. მოწერელია (მარცხნიდან მეორე) გაზეთის თანამშრომლებთან.

დილაადრიან იწყება გეგეჭკორის რაიონული გაზეთის „შრომის დროშის“ ჟურნალისტთა სამუშაო დღე. მიუსხდებიან მაგიდებს, ერთხელ კიდევ გულდასმით შეამოწმებენ მომავალი ნომრის მასალებს, მერე საბოლოოდ დააზუსტებენ გაზეთის მაკეტს. ახლა სტამბაში იწყება ოромტრიალი თანდათან ესხმება ფრთები მორიგი ნომრის დაბადებას, რომელსაც მუდამ დაძაბული შრომა, ღელვა, ძიება უძღვის წინ და აი, ხელთა გვაქვს საღებავშეუმშრალი გაზეთის ნომერი.

ჟურნალისტებს სამართლიანად ეძახიან მოუსვენარ ადამიანებს. გეგეჭკორის რაიონული გაზეთის მუშაკებიც მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებენ. ვინც გაზეთის ნომრის გამოშვებაზე არ არის დაკავებული, კაბინეტებში ველარ ნახავთ. მათ ბლოკნოტით ხელში შეხვდებით საწარმოებსა და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სკოლებსა თუ სხვა დაწესებულებებში. სწორედ აქ ისახება სხვადასხვა ნარკვევები და ჩანახატები, წერილები და კორესპონდენციები, სტატიები თუ რეპორტაჟები თანამედროვე ცხოვრების მაჯისცემაზე, ხუთწლედის მწყობრ ნაბიჯებზე, საბჭოთა ადამიანებზე, რომლებიც მტკიცედ დამდგარან კომუნიზმის მშენებლობის ხარაჩოებზე და დღითი დღე ახალ-ახალ საგმირო საქმეებს სჩადიან. ეს მასალები ისტორიის კუთვნილება ხდება. ისინი შემდგომში თაობებს უამბობენ სამოცდაათიანი წლების ადამიანების თავდადებაზე. რედაქციის კოლექტივს მართლაც რომ უსაზღვროდ უყვარს თავისი საქმე, ჟურნალისტები ეძებენ და პოულობენ პრობლემატური საკითხების უკეთ გაშუქების გზებსა და მეთოდებს. ამას ისინი აღწევენ დიდი შრომის ფასად. მათ გაზეთი გახადეს ჟანრობრივად მრავალფეროვანი, მებრძოლური, შინაარსიანი, იდეური, საინტერესო.

თავად განსაჯეთ: გაზეთი არის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე; გაზეთი და რედაქციის რამდენიმე თანამშრომელი დაჯილდოვებულია გამოფენის მედლებით და სიგელებით. გარდა ამისა, „შრომის დროშამ“ ორჯერ გაიმარჯვა რაიონული გაზეთების რესპუბლიკურ კონკურსებში და დაიმსახურა სიგელები და ფულადი პრემიები.

...განუწყვეტლივ იღება გაზეთის რედაქტორის, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის ლიუდმილა მოწერელიას კაბინეტის კარი. მოდიან სხვადასხვა პროფესიის, განათლებისა და ასაკის ადამიანები. ზოგი დახმარებას ითხოვს, ზოგს დიდი მიზნები აქვს და საყვარელი გაზეთის საშუალებით უნდა გააცნოს ეს მიზნები სხვებს, რათა ისინიც აღანთოს შრომის ახალი ცეცხლით.

# საგაზეთო დღე დაიწყო

ქუჩაზე მდებარე № 9 შენობაში. 1881 წელს ამ აფთიაქში მუშაობას იწყებს ფარმაციის მაგისტრი ფერდინანდ ოტტენი.

საინტერესოა ოტტენის ბიოგრაფიული მონაცემების გაცნობა, რომელმაც საქართველოს აფთიაქში იმუშავა 1878 წლიდან 1930 წლამდე.

ფერდინანდ კარლოს ძე ოტტენი რაველში (ტალინში) დაიბადა 1850 წელს. ფერდინანდი იყო ოჯახის მეოთხე შვილი და თანაც ერთადერთი ვაჟი. ფერდინანდმა სკოლა რაველში დაამთავრა, ოცნებობდა უნივერსიტეტში მათემატიკურ ფაკულტეტზე მოხვედრილიყო, მაგრამ ამ ოცნებიდან არაფერი გამოვიდა. საჭირო იყო ლუკმაპურის შოვნა. ფერდინანდმა გადაწყვიტა ფარმაცევტი გამხდარიყო. ის საცხოვრებლად გადავიდა პეტერბურგში და აფთიაქში დაიწყო მუშაობა. აქ მან გაიარა დიდი ფარმაცევტული პრაქტიკა; დაახლოებით 1869 წელს იგი გადავიდა დერპტში — (იურიევში) და იქ უნივერსიტეტში მოეწყო ფარმაცევტულ ფაკულტეტზე.

როცა უნივერსიტეტი დაამთავრა და მიიღო პროვიზორის წოდება, ფერდინანდი დაბრუნდა პეტერბურგში იმავე აფთიაქში სამუშაოდ. 1875 წელს მან დაიცვა დისერტაცია. ფერდინანდს შესთავაზეს თბილისში მთავარი ქიმიკოსის თანაშემწის მოვალეობა გ. ვ. სტრუვეს ლაბორატორიაში. ეს სამუშაო ხელს აძლევდა ფერდინანდს; მას თბილისის კლიმატი ძალიან მოეწონა და სამუშაოდ დარჩა თბილისში.

1881 წლის 13 მაისს მან არენდად მიიღო ქალაქ თბილისის აფთიაქის შენობა.

12 წელი მუშაობდა ფერდინანდ ოტტენი ქალაქის აფთიაქში. 1893 წელს მან იყიდა ექიმ შახპარონიანცისაგან აფთიაქი სოლოლაკში, ხოლო 1902 წელს ეს აფთიაქი გადაიტანა საკუთარი სახლის პირველ სართულზე კიროვის ქუჩა № 8-ში. იგი აფთიაქს ფლობდა. 1921 წლის 14 მაისამდე. ასე რომ, ფერდინანდ ოტტენი თბილისში მართავდა აფთიაქს ზუსტად 40 წლის განმავლობაში. იგი გარდაიცვალა 1930 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში.

შემდეგ პერიოდში ამ აფთიაქის გამგის თანამდებობაზე მუშაობდნენ ქართველი პროვიზორები: ს. ხაბურზანია, გ. ბეჟანოვი, გ. კალანდაძე, გ. მგალობლიშვილი, ვ. ძინძიბაძე, ვ. ბეჟანიშვილი; 1964 წლიდან დღემდე აფთიაქის გამგის თანამდებობაზე მუშაობს ნოე არევაძე, მოადგილედ პროვიზორი თინა სულხანიშვილი. ამჟამად № 28 აფთიაქში მუშაობს 34 თანამშრომელი, მათ შორის — 10 უმაღლესი განათლებით პროვიზორია, 11 პროვიზორის თანაშემწე — ფარმაცევტია. აფთიაქში საქონელბრუნვის გეგმა 1978 წლისათვის შეადგენდა 195 ათას მანეთს, ფაქტიურად კი მოსახლეობაზე გაიცა 255 ათასი მანეთის მედიკამენტები; რეცეპტების რაოდენობა გეგმით შეადგენდა 394 ათასს, ფაქტიურად აფთიაქმა მოამზადა 434 ათასი რეცეპტი. ასე რომ, ქ. თბილისის № 28 აფთიაქი თავისი გახსნიდან 150 წლისთავის იუბილეს ნიშანდობლივი მიღწევებით ეგებება. ამ შესანიშნავი კოლექტივის ყველა წევრს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მოსახლეობის მომსახურეობის საპატიო საქმეში.

**დავით ქემერტელიძე,**

**სოკრატ სალუქვაძე**



წამლების დამზადება.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.

აფთიაქში.



---

აი, ერთ-ერთი მათგანი — სახელოვანი მეჩაიე, პარტიის გეგეჭკორის რაიკომის ბიუროს წევრი ლუდიკო ბართაია. ამ ახალგაზრდა ქალმა თავისი საგმირო საქმიანობით ყველა გააკვირვა — შარშან 22 ტონა „მწვანე ოქრო“ მოკრიფა. ლუდიკო წელს 24 ტონა ჩაისათვის იბრძვის. პატრიოტმა ქალმა გაზეთის საშუალებით მოწოდებით მიმართა რაიონის მეჩაიეებს — ხუთწლედის მეოთხე წელს მოვკრიფოთ შარშანდელზე მეტი და უკეთესი ხარისხის ჩაით. მის თაოსნობას მრავალი მეჩაიე გამოეხმაურა. გაჩაღდა ახალი შეჯიბრება. ლუდიკო ბართაიას მეთოდით ახლა ჩაის პლანტაციებში მეჩაიეთა დიდი არმია შრომობს და მნიშვნელოვნად აჭარბებს შარშანდელ მაჩვენებლებს.

ჩვენ ერთი ასეთი საინტერესო ფაქტის მოწმეც გავხდით: რედაქციაში მოვიდა ბანძის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე და რედაქტორს განუცხადა:

— გაცხარებული მუშაობაა, სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკების დაუდევრობით კი დღეს სოფელში პური არ გაყიდულა. ასეთი უწესობა სხვა დროსაც ხდება.

რედაქტორის დავალებით კორესპონდენტი მყისვე გაეშურა ადგილზე. ოპერატიულად გაჩნდა გაზეთში „მსუსხავი სტრიქონები“. ამის შემდეგ ბანძაში მსგავს შემთხვევას ადგილი აღარ ჰქონია.

ლიუდმილა მოწერელიას ცხოვრების დიდი გზა აქვს განვლილი. სამ ათეულ წელზე მეტია მას რედაქტორის „კვერთხი“ უჭირავს ხელში. გამოცდილია და საქმეში ღრმად ჩახედული. იგი რაიონის ყველა შრომით კოლექტივში, ყველა ოჯახში ახლობელი და მეგობარი ადამიანია, საქმეში პრინციპული და მომთხოვნი. ზედმიწევნით ღრმად იცის რაიონის ეკონომიკა, მთელი ვითარება და ცხოვრება. „შრომის დროშას“ რედაქტორი არის ადამიანი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს თავისი პროფესია. მან თავისი საქმიანობა მთლიანად პრესისა და ხალხის სამსახურს დაუკავშირა, ეხერხება კოლექტივის გაძღოლა, დარაზმვა, წარმართვა.

— გაზეთი მაშინ მოიგებს მკითხველის გულს, — ამბობს ლიუდმილა, — თუ ღრმად ჩაწვდება რაიონის სისხლსავსე ცხოვრების ყველა უბანს. იგი ყველა ოჯახში უნდა მიდიოდეს როგორც ერთგული მეგობარი და მრჩეველი, მშრომელი კაცის აღმაფრთოვანებელი ახალი სიმაღლეების დაპყრობაში, მათი აღმზრდელი, ახლის, ტექნიკური პროგრესის ქომაგი.

ეს ლიტონი სიტყვები როდია! მის ჭეშმარიტებაში გაზეთის თითოეული ნომერი გვარწმუნებს. მის ფურცლებზე მკითხველი ნათლად ეცნობა მეურნეობათა ეკონომიკას, სახელოვანი ინტელიგენციის საქმიანობას; გაზეთის ფურცლებზე გვესაუბრებიან რაიონის სახელოვანი ადამიანები — გმირი დედა, სოციალისტური შრომის გმირი მარგო ჩიქვანაია, შრომის ვეტერანები გერასიმე ბაჩილავა, ოლია ბეჭვაია, ლენინის ორდენოსანი ლუნა წოწორია, რაიონში პირველი მექანიზატორი ქალი მაგული ლეკიშვილი...

ვინ მოთვლის კიდევ გაზეთის სხვა აქტივისტების სახელებს, რომლებიც ჟურნალისტებთან ერთად ქმნიან შინაარსიან ნომრებს.

ცოტა როდია რედაქციის დამსახურება იმ წარმატებებში, რომლებსაც უკანასკნელ წლებში რაიონის სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე აღწევენ.

ლიუდმილა მოწერელიამ ერთ მტკიცე ოჯახად შეაკავშირა რედაქციის კოლექტივი. პრინციპული მებრძოლები არიან განყოფილებათა გამგეები ალექსანდრე კუკუნაია, მილიან სილაგაძე, ლიტერატურული მუშაკები რაულ სილაგავა და ციცინო ჩიხლაძე, პასუხისმგებელი მდივანი თინა გვალია... კვლავაც ნაყოფიერად მონაწილეობენ გაზეთის მუშაობაში რედაქტორის ყოფილი მოადგილე მიხეილ ჯვებენავა, განყოფილების გამგე ჩოჩი წოწორია, ფოტოკორესპონდენტი გიორგი ჯაყელი, რომლებიც ეს-ეს არის პენსიაზე გავიდნენ; რედაქციის დასაყრდენია მუშსოფლკორთა ფართო აქტივი, რომელთა შორის განსაკუთრებით აქტიურობენ ნაზი ბულაძე, მიხეილ ხარებავა, ორდე ჩარგაზია და სხვები. ეს ადამიანები დღენიადაგ იმის ძიებაში არიან, რომ თითოეული სიტყვა, თითოეული სტრიქონი გამსჭვალული იყოს შრომითი პათოსით, აღაგზნოს ადამიანები პასუხისმგებლობისა და აქტიურობის მაღალი გრძნობით.

გეგეჭკორელ კომუნისტთა მებრძოლი ორგანო „შრომის დროშა“ ცხოვრებას მხარს უწყობს, მუხლჩაუხრელად იღწვის, რათა აქტიურად დარაზმოს მშრომელები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, პარტიის დიადი მიზნების განსახორციელებლად.

**დავით ბიწაძე**



▲ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი შოთა ცუცქირიძე.

ვიქტორ ჯეირანელის ფოტო.

ნორჩი მაყურებლები. ▼



# ტაში უკრავენ ნორჩები

თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრი ერთ-ერთი იმ დაწესებულებათაგანია, რომელსაც თავის უპირველეს და საპატიო მიზნად დაუსახავს ბავშვების აღზრდა, მათი გონებრივი ზრდა-განვითარება, სულიერი სამყაროს სწორი გეზით წარმართვა.

აი აქ, სწორედ ამ თეატრის თეჯირთან ითვისებენ ნორჩები სწორ მეტყველებას, მათი საყვარელი ზღაპრული გმირების გაცოცხლებულ სახეებში ეზიარებიან სიკეთის გამარჯვების სიხარულს, ბავშვური უშუალობით, მხურვალე ტაშის გრიალით ესალმებიან ბოროტების დამარცხებას; აქ, სწორედ ამ თეატრში იკვეთება პირველად სამშობლოს უზომო სიყვარულის გრძნობა, მეგობრობის, შრომის სიკეთის აღქმა და შეგრძნება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თოჯინების თეატრის მიერ წარმოსახულ ყოველ პიესაში აუცილებლად უნდა იყოს დაცული თოჯინური დრამატურგიისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებანი. ამ სირთულის დაძლევის გარეშე სპექტაკლი ვერ მიიღებს მკვეთრ გამომსახველობით სახეს, მთელი სიღრმით ვერ ჩაწვდება ნორჩი მაყურებლის სულიერ სამყაროს, ვერ გახდის გასაგებს რამდენი სითბო, სიყვარული, გაიზრებაა ჩაქსოვილი ყოველ სიტყვასა თუ მიზანსცენაში.

თოჯინების ზუსტი და მკვეთრი მოძრაობა, მათ მიერ ბავშვებისათვის საყვარელი ტიპაჟის შექმნა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მსახიობის ოსტატობაზე, მხატვრობასა და მუსიკაზე. სწორედ მათმა მახვილგონივრულმა შერწყმამ უნდა შეავსოს და სრულყოს ის ნაკლი, რომელიც აქვს თოჯინას.

თოჯინური სპექტაკლის სირთულე, მისი სპეციფიკა დიდ დროს, ძიებას, თავგამოდებულ შრომასა და ნიჭს მოითხოვს.

ბავშვებისათვის საყვარელი თეატრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მთელი კოლექტივი არაფერს არ იშურებს მის წინაშე დასახული ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად.

ორიოდე წლის წინათ თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის დირექტორად დაინიშნა რეჟისორი ვახტანგ მაღლაფერიძე. მის მიერ რესპუბლიკის სხვადასხვა თეატრებში განხორციელებულ დადგმებს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა. მომთხოვნმა, კარგმა ორგანიზატორმა, გამოცდილმა და ნიჭიერმა რეჟისორმა ვახტანგ მაღლაფერიძემ თეატრის მთელი კოლექტივი შემართა ხისხლსავსე შემოქმედებითი შრომისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ეროვნული რეპერტუარის გაძლიერებას.

მიბრძანდით, დაესწარით ახალი პიესების განხილვასა და სხვადასხვა სპექტაკლების რეპეტიციებს; ნახეთ როგორი მონდომებით, ხალისით, შემოქმედებითი ძიებით მუშაობენ თეატრის გამოცდილი მთავარი რეჟისორი გივი სარჩიმელიძე, ბავშვების საყვარელი მსახიობები — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ე. ცქიტიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები შ. ცუცქირიძე, ვ. ნიკოლაიშვილი, მ. გაგნიძე, ჯ. მაჭარაძე, სალიტერატურო ნაწილის გამგე, მწერალი ჯემალ ქარჩხაძე, მხატვრები, კომპოზიტორები, რეჟისორები, თოჯინების მოქანდაკეები, სცენის ოსტატები, რეკვიზიტორები, თეატრის მთელი დასი...

ყველა მხოლოდ ერთი აზრითა და მისწრაფებით არის განმსჭვალული: რაც შეიძლება კარგი, მაღალიდეური, სახალისო და გულში ჩამწვდომი სპექტაკლებით წარსდგეს მაყურებლების წინაშე.

სამშობლოს სიყვარული, მისთვის სამაგალითო თავდადება წითელ ზოლად გასდევს თოჯინების თეატრში წარმოდგენილ ვ. იაკაშვილის პიესას „შავლეგა ციკანს" (რეჟისორი ა. ჩხიკვაძე, მხატვარი მ. ციცქიშვილი, კომპოზიტორი ა. ორბელაძე).

ეს პიესა უკვე შეიყვარეს ბავშვებმა. ე. ბეროზაშვილის, ც. თოდრიას, ჯ. მაჭარაძის, მ. გაგნიძის, გ. ზარიძის და სხვა მსახიობების მიერ გაცოცხლებული თოჯინები ნორჩებისათვის ამაღელვებელ და დასამახსოვრებელ სახეებს ქმნიან. ისინი იმ რწმენით სტოვებენ დარბაზს, რომ დასაგმობია სამშობლოსაგან განდგომა, რომ შავლეგა ციკნის თავქარიანი საქციელი ყოველთვის დაღუპვამდე მიიყვანს ადამიანს.

ასევე საყურადღებოა თეატრის რეპერტუარში შესული „მხიარული ზღაპრები", რომელიც ორი სხვადასხვა პიესისაგან შედგება — ე. სპერანსკის „უჩვეულო შეჯიბრისა" და ს. მიხალკოვის „სამი გოჭისგან" (თარგმანი ჯ. ქარჩხაძისა).

რეჟისორმა შ. ცუცქირიძემ ამ პიესაში მოხდენილად გამოიყენა ტელეეკრანის მიღწევები. სპექტაკლი დიაფილმის მსგავს ჩარჩოშია მოქცეული და კიდევ უფრო ამახვილებს ბავშვების დაძაბულ ყურადღებას.

უკანასკნელ ხანებში თეატრში დიდი ყურადღება მიექცა მუსიკალური სპექტაკლების დადგმას. ამ მხრივ პირველი მერცხალი იყო მ. ხეთაგურის პიესა „ბეტიალა" (რეჟისორი გ. სარჩიმელიძე, მუსიკა ვ. სიხარულიძისა). მუსიკალური სპექტაკლი კარგად აღიქვეს პატარებმა. თეატრს გადაწყვეტილი აქვს კიდევ უფრო მეტად შეავსოს და გააღრმაოს ეს წამოწყება.

ყველა სპექტაკლი, იქნება ეს მ. აბრამიშვილის „განთავისუფლებული ზღაპრები" თუ გ. ლანდაუს „ფიფქიას სკოლა", ო. დემეტრაშვილის და ზ. გახუტაშვილის „რაც არ გერგება" თუ ვ. პარადნის „პატარა ფერია", ს. პროკოფიევის „გუგულიანი საათი" თუ სხვა დადგმა, — მხოლოდ ბავშვების ესთეტიკურ აღზრდას, მათში სიკეთის გაღვივებას, ხალხისა და სამშობლოსადმი უზომო სიყვარულის გრძნობის ხორცშესხმას ემსახურება.

მისასალმებელია, რომ თეატრმა უკანასკნელ ხანებში კარგი წამოწყება დაამკვიდრა: რეპერტუარში ეროვნული დრამატურგიის მტკიცედ შემოსვლისათვის მჭიდრო კონტაქტი დაამყარა ქართველ მწერლებთან. მოეწყო შეხვედრები, საუბრები; ჩვენ მწერლებს თავიანთი გულისტკივილი და სურვილები გაუზიარეს თეატრის წარმომადგენლებმა. ამ შეხვედრებზე დაისახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა განხორციელება კიდევ უფრო ნაყოფიერსა და შინაარსიანს გახდის თოჯინების თეატრის შემოქმედებით ცხოვრებას.

ასევე მისასალმებელია თეატრში დამკვიდრებული გასვლითი სპექტაკლების ტრადიცია. თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრი ხშირად მართავს თავის სპექტაკლებს რუსთავში, მცხეთაში, საგარეჯოში, შეფობას უწევს საგურამოსა და თელავის რაიონის სოფელ სანიორეს.

მოძმე აზერბაიჯანში მცხოვრებ ინგილოებს, თეატრმა გასტროლების დამთავრების შემდეგ, საჩუქრად გადასცა სპექტაკლი „წითელქუდა" — თავისი თოჯინებითა და დეკორაციებით.

ასეთივე მეგობრული ხელი გაუწოდეს ბამის ნია-გრუზინსკაიას მშენებელთა ოჯახების პატარებსაც. თეატრმა ბამელ ნორჩებს საჩუქრად გაუგზავნა რამდენიმე ქართული თოჯინა. ეს ნორჩები მალე საჩუქრად მიიღებენ ერთ სპექტაკლს ყველა კომპონენტით.

ციმბირის მიწაზე მცხოვრები პატარა ქართველებისაგან ამას წინათ ნია-გრუზინსკაიას ავტოგრაფებიანი სამახსოვრო მაკეტი და დიდი მადლობის წერილი მიიღო თეატრმა. ეს მადლობა კიდევ უფრო მეტს ავალებს თეატრის კოლექტივს. ყველამ, კოლექტივის თითოეულმა წევრმა კარგად იცის, რომ მეტი შრომა, ძიება, თავდადება, საქმისადმი უზომო სიყვარულია საჭირო ჩვენი იმედის — მომავალი თაობის ყოველმხრივ სრულყოფილად აღსაზრდელად.

ნუნუ კუპრეიშვილი.





ზღაპრული სამყარო. ▲

ასე მზადდება თოჯინები. ▼



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფურცლები წარსულიდან

## რაფიელ ერისთავისა და ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი წერილი «ნივაში»

ინგლის-რუსეთის სალიტერატურო საზოგადოების პრეზიდენტი ე. კაზალეტი 1897 წლის სექტემბერში ილია ჭავჭავაძეს წერდა, რომ რუსულ ჟურნალ „ნივაში" წაიკითხა სტატია მასზე და რაფიელ ერისთავზე. დიდ ქართველ სამოციანელს ე. კაზალეტი სთხოვდა, რომ გაეგზავნა ცნობები მისი და ერისთავის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ბარათთან ერთად ე. კაზალეტს ი. ჭავჭავაძისათვის გაუგზავნია ორი ბროშურა, რომლებშიც ინგლისურ ენაზე დაბეჭდილი იყო დიდი უკრაინელი მწერლის — ტარას შევჩენკოს ლექსები.

ე. კაზალეტი ი. ჭავჭავაძეს წერს: „შევჩენკოს ლექსები ინგლისურად ვთარგმნეთ რუსულიდან. გვსურს ინგლისურად დავბეჭდოთ რ. ერისთავისა და თქვენი ლექსები. დაიმედებული ვარ, რომ ორივე დაგვეთანხმებით, აგირჩიოთ ინგლის-რუსეთის ლიტერატურული საზოგადოების წევრებად. ჩვენი მიზანია, ინგლისელებსა და თქვენ შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდეს".

არ ვიცით, რა პასუხი გაუგზავნა ი. ჭავჭავაძემ ე. კაზალეტს; ფართო საზოგადოება არ იცნობს რ. ერისთავისა და ი. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ სტატიასაც, რომელიც ჟურნალ „ნივაში" დაიბეჭდა (1897, № 35, გვ. 834-835).

რუსულ ჟურნალში დაბეჭდილი წერილი უთუოდ საინტერესოა თანამედროვე მკითხველისათვის და ანგარიშგასაწევი მკვლევართათვის, ამიტომ მოკლედ შევეხებით მას.

წერილის შესავალში რუსი ავტორი საქართველოს ახასიათებს, როგორც რუსეთის ერთგულ და საიმედო მოკავშირეს. შემდეგ კი იგი მკითხველს მოუთხრობს ცნობილი ქართველი მწერლის შემოქმედებაზე. მისი შეხედულებით რ. ერისთავის ლირიკული ნაწარმოებები ძვირფასია იმის გამო, რომ მათში ასახულია ხალხის ცხოვრება, რაც პოეტს საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი. ავტორს რ. ერისთავის რამდენიმე ლექსი („სამშობლო ხევსურისა", „მკა") მიაჩნია ნატიფი გემოვნებისა და ფაქიზი პოეტური დახვეწილობის ნაწარმოებებად, რომელთა სტრიქონები საანდაზო გამოთქმებად იქცა. იგი ფრიად საინტერესოდ მიიჩნევს რ. ერისთავის მოთხრობებსა და ფელეტონებს, რომლებშიც ოსტატურადაა აღწერილი საქართველოს სხვადასხვა კუთხის ყოფა-ცხოვრების სურათები.

ავტორი ეხება რ. ერისთავის მეცნიერულ მუშაობას — სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის" რედაქტირებას, ქართულ-რუსულ-ლათინური საბუნებისმეტყველო ლექსიკონის შედგენას და აღნიშნავს, რომ რ. ერისთავის ლიტერატურული მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის იუბილეზე, რომელიც 1895 წლის ოქტომბერს გაიმართა, ქართველ ხალხთან ერთად მგზნებარე მონაწილეობა მიიღო კავკასიაში მცხოვრებმა ყველა ერის წარმომადგენელმა.

სტატიაში ილია ჭავჭავაძე დახასიათებულია, როგორც დიდი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ქართველი ინტელიგენციის ლიდერი. წერილში აღნიშნულია, რომ თანამემამულენი მაღალ შეფასებას აძლევენ ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მაგრამ იგი ჯერჯერობით ნაკლებად არის ცნობილი რუსი მკითხველისათვის.

ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლედ დახასიათების შემდეგ ავტორი ძირითადად სწორად მიმოიხილავს მწერლის მხატვრულ შემოქმედებას; ეხება ი. ჭავჭავაძის ლექსს „ყვარლის მთებს" და წერს, რომ ეს ქმნილება გამსჭვალულია საოცრად უშუალო ლირიზმით. იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ი. ჭავჭავაძის რამდენიმე ნაწარმოებს („გუთნის დედა", „აჩრდილი", „გლახის ნაამბობი") ძლიერ კეთილმყოფელი გავლენა მოუხდენია გლეხთა განთავისუფლების დაძაბულ, მღელვარე პერიოდში.

ავტორი ილია ჭავჭავაძეს დამსახურებულად უწოდებს გლეხთა განთავისუფლების მგზნებარე და ენამზიან პიონერს. იგი განაგრძობს: ი. ჭავჭავაძის პოპულარობის მასშტაბზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, რომ მისი პორტრეტი ყოველი ჭეშმარიტი ქართველის ბინის მშვენებაა და საქართველოში ყველგან გაისმის სიტყვები დიდი მწერლის ნაწარმოებებიდან.

ინგლის-რუსეთის სალიტერატურო საზოგადოების პრეზიდენტი ე. კაზალეტი სწორედ „ნივაში" დაბეჭდილი ამ სტატიით გაეცნო რ. ერისთავისა და ი. ჭავჭავაძის შემოქმედებას. მან გადაწყვიტა, რომ ინგლისურად ეთარგმნათ და დაებეჭდათ ორი სახელოვანი ქართველი მწერლის ნაწარმოებები და ორივენი ინგლის-რუსეთის ლიტერატურული საზოგადოების წევრებად აერჩიათ.

ჯოდორ დადიანი

დომენიკო რეა

# სიყვარული პრაჩიდოზე

უცხოური ნოველა

ქალი პატარა და ჩამრგვალებული იყო, ბურთისებრი მუცელი ჰქონდა, მოკლე კისერი, პატარა ფეხები ძლივს მოუჩანდა, ხელებიც პატარა და ფუმფულა ჰქონდა. მარცხენა ხელზე პატარა ოქროს საათი ეკეთა. არათითზე ნიშნობის ბეჭდის გარდა ბრტყელი, მძიმე ბეჭედი ეკეთა, ორი თუ სამი მომცრო ბრილიანტით; ხანდაზმიანი სახე ჰქონდა: ნატიფი ცხვირი, პატარა გაბუტული ტუჩები, რომლებიც სწრაფი მოძრაობით ლოცვას ბუტბუტებდნენ. თუმცა ეს არ უშლიდა, პასუხი გაეცა მრავალრიცხოვანი მგზავრების მისალმებაზე, რომლებიც ჩვენთან ერთად გემით მგზავრობდნენ.

ახალგაზრდა მეზღვაურს, ზოლებიანი პერანგი რომ ეცვა, უთხრა:

— მოწიე, მოწიე, გეთაყვა, ნუ გერიდება! ნეტავი, რას ხედავთ ამ სიგარეტში?

— ბედნიერი ხართ, — უპასუხა ჭაბუკმა ღიმილით, — ბედნიერი ქალი ხართ!

მეც ბედნიერი და უშფოთველი მეჩვენებოდა. „აი, ქალი, რომელიც ალბათ, მშვიდად, უდრტვინველად და შეძლებულად ცხოვრობს თავის მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად", — ვფიქრობდი მე.

იგი თავისუფლად იჯდა მერხზე და ნეაპოლის ყურეს გაჰყურებდა. მაგრამ მოულოდნელად როცა მეზღვაური გაცილდა, კავიგონე როგორი ირონიით და მწარედ თქვა:

— მნახა რალა ბედნიერი!

სად გაქრა მისი სიმშვიდე და უშფოთველობა?! მან ფართოდ გაახილა თვალები, რომლებიც მანამდე მოჭუტული ჰქონდა, რადგან ძალზე საქმიანად „ესაუბრებოდა" ღმერთს, და ზღვის ზედაპირს გახედა. იგი თანდათან უბრუნდებოდა სინამდვილეს და ბოლოს და ბოლოს დაინახა, რომ გემი ტალღებზე მისრიალებს, მის გვერდით გემბანზე კი ვზივარ მე, და თავი ისე მიჭირავს, თითქოს ვერაფერს ვამჩნევ. ქალმა ლოცვას თავი ანება, კრიალოსანი ჯიბეში ჩაიდო და ხმამაღლა ამოიოხრა. და ისე რომ ჩემკენ არ მობრუნებულა, მკითხა:

— ზაფხულს იხკიაზე ატარებთ?

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

— იხკია ჯადოსნური კუნძულია! — განაგრძობდა იგი,— მე ხომ აქაური ვარ, პრაჩიდოელი. უფრო სწორად, ვახტოზე დავიბადე. თქვენც ნეაპოლელი ხართ? ეს მან — ჩემმა ქმარმა მომიყვანა პრაჩიდოზე. წესიერად არც კი ვიცოდი, სად იმყოფებოდა ეს კუნძული! — დაუმატა მან გაჯავრებით.

ეტყობოდა, უნდოდა ეთქვა, ბევრი როდი იხვეწებს პრაჩიდოზე, და ამიტომ, იქაურ მცხოვრებლებს ხეირს არ აძლევს ის ორი ოქროს თვე, რომელიც იხკიას სილატაკისაგან იხსნისო, მაგრამ ღვარძლმა თავისი ქმრის მიმართ მის აზრებს ჩვეულებრივი მიმართულება მისცა და იგი ისევ შეიპყრო ხევდამ, რომელსაც, ალბათ, დროდადრო მხოლოდ ლოცვა თუ უქარვებდა. მივხვდი, რომ დიდი ხნის ხევდა ანიჭებდა მას ამ შესაშურ გარეგნულ სიმშვიდეს.

მან მალულად მიიხედ-მოიხედა და როცა დარწმუნდა, რომ მარტო მე მესმის მისი ლაპარაკი (შესაძლოა, ყველა დანარჩენმა უკვე იცოდა მისი ამბავი და იგი თაკილობდა გადაეშალა მათთვის გული), უფრო მოხერხებულად მოეწყო მერხზე, ჩემკენ მოტრიალდა, თხელ, ჰალარაშეპარულ ქერა თმაზე ხელი გადაისვა და დაიწყო:

— ეს რაღაც ღვთის წყრომაა, თორემ იგი ყოველთვის როდი იყო სალახანა!

— ხომ უყვარდით? — ვკითხე მე.

იგი გველნაკბენივით წამოხტა.

— ვუყვარდი?! აბა, შემომხედეთ! — მან თითი გააყოლა გრძელ და წვრილ ნაჭრილობევს, რომელიც რეზინის ლენტივით გასდევდა ლაწვის ძვალს, — მისი ნახელავი გახლავთ, — განაგრძო მან, — მადონა დელ კარმინეს ეკლესიასთან დამიდარაჯდა. დიდხანს არ მივყვებოდი ცოლად — მთელი სამი წელი. არა, მის გარდა სხვა არავინ მყოლია. მიყვარდა, მაგრამ არ მინდოდა, მისი ვყოფილიყავი. მაგრამ როცა დამამახინჯა, იძულებული გავხდი, მის ნებას დავყოლოდი. ლამაზი ყმაწვილი იყო, ჩინებული ხელოსანიც; მერე როგორ მღეროდა და უსტვენდა! ტოლი არა ჰყავდა. საქმე იცოდა, და მერე როგორ. მაგრამ თავისი ხელობა არ უყვარდა. სიმღერა და სტვენა ერჩივნა. თუ შემიყვარდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მეც ახალგაზრდა ვიყავი.

მივხვდი: იგი მზად იყო, დაუსრულებლივ ეთათხა თავისი ქმარი, მაგრამ თუ ამას ვინმე სხვა გაბედავდა, მყისვე გამოესარჩლებოდა. სიტყვა რომ შემეწყვეტინებინა მისთვის, დიდ ტკივილს მივაყენებდი. ვიფიქრე, ჩემთან საუბარი იმის გამო არ გაუბია, თავისი გულის ნაღები რომ გადაეშალა, არამედ იმიტომ, რომ მეხსიერებაში აღედგინა ყველა ის მწუხარება და ჭირი, რომელიც თავს გადახდა და მის გარდა ვერავინ აიტანდა. შვიდი შვილი ჰყავდათ — სამი ქალიშვილი და ოთხი ვაჟი. ნეაპოლიდან ოჯახი ტორე დელ გრეკოში გადავიდა, ტორედან — პორტიჩიში, იქიდან ისევ ნეაპოლში. მის ქმარს მუდამ ახალი მირაჟები იზიდავდა და მუდამ თან სდევდნენ ვალები, სკანდალები და გაჭირვება. ბოლოს პრაჩიდოზე აღმოჩნდნენ.

— ეს სენი, — განაგრძობდა იგი, — ჩვენი ცოლქმრული ცხოვრების პირველი დღიდან არ ტოვებდა მას. და ამიტომ, ჩვენ ოჯახს არ აკლდა ცემატყეპა და აყალმაყალი. მაგრამ სანამ ლუიჯინო არ გამოჩნდა, ველურ კატასავით ვიყავი. ხალხი ამბობდა, რომ ამის გამო უფრო შემიძულებდა, მაგრამ შეუძლებელი იყო, ყველაფერზე თვალი დამეხუჭა, მშვიდად მძინებოდა, როცა იგი სახლიდან მიდიოდა. მე მას ვუთვალთვალებდი, კუდში დავდევდი, ერთი სიტყვით, მოსვენებას არ ვაძლევდი! ყველა ჩემს მხარეზე იყო. ყველა, გარდა მამაჩემის, დედაჩემის და ჩემი დების, — ისინი მამტყუნებდნენ, თავიდანვე რომ გავყევი ცოლად. აბა, რა მექნა; მან ხომ დამამახინჯა?!...

ცხადი გახდა, ეს ქალი ძალზე ავი ხასიათის იქნებოდა, და ნაჭრილობევი შემთხვევით არ აჩნდა სახეზე. როგორ ვაიძულო, ყველაფერი მომიყვეს?! საუბარს არ ვაწყვეტინებდი, ძალზე საინტერესო იყო მისი მოსმენა.

— დიახ, ეს სენი არასოდეს ტოვებდა მას! უცებ რაღაც ეცემოდა ხოლმე, მერე მშვიდდებოდა და მეც აღარ ვფიქრობდი ამაზე. კიდევ ორი ბავშვი მეყოლა და აღარ ვგრძნობდი თავს მარტოხელად. ჩემი საზრუნავი ახლა უფრო ის იყო, როგორმე ფული დამეცანცლა მისთვის, რომ თავი და ბავშვები მერჩინა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ მე თვითონ არ მივყავი ხელი ვაჭრობას. ახლა უკვე იგი მცანცლავდა ფულს.

როცა წესიერად იქცეოდა, ქალებს არ დასდევდა, მაშინ უნდა გენახათ, როგორი კარგი ადამიანი, როგორი გამრჯე იყო. მე ვბანდი და ვმოსავდი, მას კი წესრიგში მოჰყავდა სახლი, ბავშვებს უვლიდა. აი, რატომ ვამბობ, რომ იგი არაფერ შუაშია, ყველაფერი ჯადოს ბრალია, რომელმაც გონება დაუბნელა; ის წყეული კრაზანასავით ჭამდა მას. საერთოდ, დიდი ხანია ვგრძნობდი ამას, თითქოს რაღაც იდუმალი ხმა ჩამჩურჩულებდა. არა, არ მინდოდა პრაჩიდოზე ცხოვრება! ამ კუნძულმა, რომელზეც ხალხი შიმშილით წყდება, თავიდანვე საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. კარგად მოქცეულხართ, იხკიაზე რომ დაბინავდით. რომ იცოდეთ რა ხალხი ცხოვრობს პრაჩიდოზე! დაე, ჩაძაღლდეს ყველა, დაე, ქინქლებმა შეჭამონ! კაცები ხომ ნამდვილი პირუტყვები არიან! მთელი დღე მზეზე ყრიან და როგორც ძაღლი ძვალს, ისე ეცემიან ხოლმე ნეაპოლიდან მოსულ ყოველ გაქუცულ გემს, ქალებს ნუღა იკითხავთ... ყური რომ დაუგდოთ, სახლისა და ეკლესიის გარდა ფეხს არსად დგამენ. სინამდვილეში კი ერთი სული აქვთ, ბუჩქებში შევარდნენ საყვარლებთან ერთად. სინდისგარეცხილები! ო, არა, ის ქალი სრულებითაც არ არის ახალგაზრდა! ახე რომ ყოფილიყო, ვიტყოდი: გაუმარჯოს ახალგაზრდობას-მეთქი! იგი ისეთივე ბებერია, როგორიც მე. თუმცა არა, სრულებითაც არ არის ჩემნაირი, მე ხომ ხანში შესული და ავადმყოფი ვარ, მაგრამ სულ კრიალი გამდის, ყოველ დღე ვსადილობ და რაც უნდა იყოს, ჯერ კიდევ ტანსრული ვარ. ის კი უხუფთაოა, მჭლე, ტარანივით გაფშეკილი. ის და ჩემი ძვირფასი მეუღლე სიბინძურეს სრადიან, ოღონდ, ღმერთო ბატონო, ვერა და ვერ მოვახერხე დანაშაულზე წავსწრებოდი მათ. ერთხელ ამბავი მომიტანეს, მუქურას უკან უნახავთ ერთად, გავვარდი იქ, და თქვენც არ მომიკვდეთ, არავინ დამხვდა. მზე უმოწყალოდ აცხუნებდა, ირგვლივ კი მარტო ქვები და კლდეები იყო. მაინც დავიყვირე: „მართალია დამემალე, მაგრამ მაინც ვიცი, რომ აქა ხარ და დამიწყევლიხარ!"

იგი ატირდა, მე გულით მეცოდებოდა. რაც არ უნდა იყოს, ხანში შესული ქალი იყო!

— შვილები არაფერს ეუბნებიან?

— ცოცხალი ვერ გადაურჩებიან რაიმე რომ გაუბედონ! — მიპასუხა შეშფოთებულმა, — მას მხოლოდ ჩემი ეშინია. როცა ავტობუსით მთავარ მოედანს გავივლი-ხოლმე — მე ხომ შორს ვცხოვრობ, სოფელში, ვხედავ მას იმ მაწანწალების ბრბოში, რომლებთან ერთად მათხოვრობს. ჩემ დანახვაზე ყოველთვის თვალებს ხრის. აი, სადამდე მიიყვანა თავი. დღემდე ჩემი ნაყიდი ტანსაცმელი აცვია. სულ არ უვლის ის გაოხრებული, სულ არ ზრუნავს მასზე, მტვირთავად აქცია, ჩემი ქმარი კი თან ჰყვება. ახია; თვითონაა დამნაშავე! ნეტავი, რა ნახა მასში, მითხარით ერთი, რა ნახა?! ჩემთან მშვიდად იცხოვრებდა, არაფერი მინდა მისი, უკვე ბებერი ვარ. ჩემ სახლს გარშემო ბაღი არტყია, პატარა დუქანი მაქვს, შვილები და შვილიშვილები ხშირად მოდიან ჩემ სანახავად. აი, ნახეთ! მან ათიოდე ფოტოსურათი გამომიწოდა, რომლებზეც იგი თავის შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად იყო გადაღებული; შემდეგ ცალკე ვაჟიშვილებთან, რომლებსაც სალდათური უხეში სახეები ჰქონდათ. ერთ სურათზე ფოტოგრაფს იგი ჩვილი ბავშვით ხელში აღებეჭდა, ეტყობა, სულ უმცროსი თუ იყო. მეორეზე კი მარტო იყო გადაღებული; თავმომწონედ იჯდა ბებქვეშ ხავერდის სავარძელში, მთელი თავისი სამკაულებით მორთული.

— შრომა მიყვარს და ვიმუშავებ, სანამ ღმერთი ძალას მომცემს. ჩემი ვაჟები არაფერს მაკლებენ, სამაგიეროდ, მისი ხსენებაც კი არ უნდათ, მამად არა ცნობენ, ვაი ჩემი ბრალი, თუ ვიტყვი, ხომ არ გავუგზავნა რამე მამათქვენისათვის, ბოლოს და ბოლოს მაცლია, ხომ აძლევენ ხოლმე მოწყალებას მათხოვრებს... მათ ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ როცა მარტო ვრჩები და ყინავს, ან სეთი ქარი ამოვარდება, გეგონება სადაცაა კუნძულს წაიღებსო, თუმცა ყველაფერი საკმარისად მაქვს: პურიც, ფქვილიც, მუხუდოც, ლობიოც, ნახშირიც — არაფერს ვჭამ. გავყურებ აბობოქრებულ ზღვას და თუ მძინჯებს ხმა მომესმა, — ვფიქრობ — ის ხომ არ არის? ტყუილად კი არ მაჩნია ნიკაპზე მისი ხელით მიყენებული ჭრილობა! — თქვა მან და თითი გაიტარა სახეზე, — მას კი ისევ ჩემი ნაყიდი ტანსაცმელი აცვია, ალბათ, სადამოობით, ტანთ რომ იხდის, თავის თავს ეუბნება: „ეს ტანსაცმელი ხომ მან მიყიდა". რას იტყვით?! — დაამთავრა ქალმა სათქმელი, მძიმედ ამოიოხრა და აშკარად ელოდებოდა, რომ დავეთანხმებოდი.

ამ დროს ყურის წამლებად დაიბლავლა საყვირმა — გემი ნაპირს მიადგა. ჩვენ ნეაპოლში ჩავედით. ხალხის ბრბომ, ღრიანცელმა, აბეზარმა მებარგულებმა — მთელმა იმ ალიაქოთმა, რომელიც ნავსადგურში იდგა, სამუდამოდ დაგვაშორა ერთმანეთს.

თარგმნა გურამ გუხნიკაშვილმა.

# გზა დიდი ფეხბურთისაკენ




● ვიტალი დარასელია.

● ვიტალი დარასელია ბურთით.

1978 წლის მარტი... საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში ერთმანეთს ხვდებიან თბილისის „დინამო" და ნიკოპოლის „კოლოსი". ამ მატჩის შედეგი ფეხბურთის მოყვარულებს უთუოდ ახსოვთ. ალბათ, ისიც ემახსოვრებათ, რომ სწორედ ამ მატჩის დროს დაშავდა „დინამოს" ნახევარმცველი ვიტალი დარასელია.

თბილისელებმა ჩემპიონატი უმისოდ დაიწყეს. თორმეტი კალენდარული მატჩის გამოტოვება მოუხდა ვიტალის, მეცამეტე ტურში კი სტადიონზე კვლავ გაისმა „თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში მეექვსე ნომრით თამაშობს ვიტალი დარასელია!"

განვლო ერთმა თვემ და სერგო კუტივაძემ თავის ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „მას შემდეგ, რაც დარასელია მწყობრში ჩადგა, ბურთი უფრო იშვიათად ჩერდება მოედნის ცენტრში, იმატა მწვავე გადაცემებმა თავდამსხმელთა მისამართით".

მოდით, ახლა თავად დარასელიას მოვუსმინოთ:

—ყველაფერი მძლეოსნობით დაიწყო. სკოლის პირველი კლასის მოსწავლე ვიყავი, როცა რბენაში დავიწყე ვარჯიში ოჩამჩირის ბავშვთა სპორტულ სკოლაში, ჩვენთან ერთად ფეხბურთელებიც ვარჯიშობდნენ. ხშირად გვიწევდა მინდორზე ჩვენსკენ გადმოვარდნილი ბურთის დაბრუნება ფეხბურთელებისთვის. ერთხელ კი „ცარიელ" რბენას, მინდორზე ბურთით სირბილი ვამჯობინე... 1967 წელს იმავე სპორტსკოლის ფეხბურთელთა გუნდში მიმიღეს. ვთამაშობდი ცენტრალურ თავდამსხმელად და, ეტყობა, არც ისე ურიგოდ, რადგან 1974 წელს ოჩამჩირის „ამირანში" მიმიწვიეს. „ამირანის" შემადგენლობაში საქართველოს პირველობაზე ერთი სეზონი ვითამაშე და ოცდასამ მატჩში ოცი გოლი გავიტანე.

ჩემი პირველი მასწავლებელი გახლდათ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ბონდო კაკუბავა. მან შემაყვარა ფეხბურთი და სწორედ მას უნდა ვუმადლოდე, რომ ახლა თბილისის „დინამოს" მაისური მაცვია.

„დინამოში" როგორ მოვხვდი? 1974 წლის საფეხბურთო სეზონის ბოლოს ჩატარდა მატჩი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის: მატჩის მიზანი იყო „დინამოსათვის" შეერჩიათ ახალგაზრდა ფეხბურთელები. მიხეილ იაკუშინმა და ნოდარ ახალკაცმა რამდენიმე ფეხბურთელს „დაადგეს თვალი", მათ შორის ქორიძეს, იმნაძეს და მე.

ასე დაიწყო ჩემი თბილისური „ოდისეა".

1975 წლის სეზონის დასაწყისში, ლესელიძეში შეკრების დროს მოხეტიალე თავდამსხმელის ადგილზე ვთამაშობდი. ათ თამაშში რვა გოლი გავიტანე. ის სეზონი სათადარიგო შემადგენლობაში დავიწყე, მაგრამ ერთ-ერთ მატჩში გუცაევი დაშავდა და ტაშკენტის „პახტაკორის" წინააღმდეგ მარჯვენა გარემარბად დამაყენეს. მას შემდეგ ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობ. 1977 წლამდე თავდასხმაში გამოვდიოდი, შემდეგ კი ნახევარდაცვაში, მეექვსე ნომრად „ჩამომაქვეითეს". ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში, ევროპის ჩემპიონატზე, გამთამაშებლის ფუნქციებს ვასრულებდი".

რით გამოირჩევა ვიტალი დარასელია თბილისის „დინამოს" გუნდში?

ყველაფრით და არაფრით.

როცა ვამბობთ არაფრით, ვგულისხმობთ, რომ დარასელია არის ნაწილი იმ საკმაოდ კარგად აწყობილი მექანიზმისა, რომელსაც თბილისის „დინამო" ჰქვია. ხოლო ყველაფრითო როცა ვამბობთ, აქ მისი სწრაფი, ტექნიკური, აზრიანი თამაში, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხელწერა გვაქვს მხედველობაში.

რა თქმა უნდა, დარასელია „დინამოში" მოსვლის დღიდან ჩავარდნების გარეშე არ თამაშობს. ეს იყო და უთუოდ იქნება, ამის გარეშე წარმოუდგენელია ახალგაზრდა ფეხბურთელი. ვიტალი დარასელია ჯერ ახალგაზრდაა, ოცდასამი წლის სპორტსმენს წინ დიდი საფეხბურთო ცხოვრება აქვს. თუმცა, ამ ახალგაზრდა ფეხბურთელის უკვე „მოწიფულ" ოსტატობაზე მეტყველებს ჯერ ერთი ის, რომ იგი 1978 წლის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა შორისაა, მეორე და მთავარი, იგი საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების ძირითად შემადგენლობაში თამაშობს.

როდესაც ვიტალის შევეკითხეთ, რომელი შეხვედრა იყო მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, იგი არც დაფიქრებულა, ისე გვიპასუხა, შარშანდელი თამაში ოდესაშიო. ეს იმიტომ, რომ სატურნირო ცხრილში ორივე გუნდს თითქმის ერთნაირი მდგომარეობა ეჭირა. მატჩს, შეიძლება ითქვას, პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მოგეხსენებათ „საკუთარ მინდორზე" თამაშს რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხბურთელისათვის... ოდესელები უტევენ, თბილისელები თავს იცავენ და კონტრშეტევებით პასუხობენ. სწორედ ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევის დროს გათამაშდა სწრაფი და ლამაზი სამსვლიანი კომბინაცია: დარასელია-შენგელია-დარასელია, ზურგს უკან ბურთის გადაცემა და ოდესელთა მეკარეს ისღა დარჩა, ბურთი კარიდან გამოეტანა. ლიდერობის შესანარჩუნებლად გუნდს სწორედ ამ ერთმა გოლმა შესძინა ის ორი ქულა, რომელიც ჰაერივით სჭირდებოდა. სწორედ ამ ერთმა გოლმა მოუტანა ზღვა სიხარული თბილისელებს. ეს ბურთი დიდხანს ემახსოვრებათ თბილისის „დინამოს" გულშემატკივრებს. ვერც ვიტალი დარასელია დაივიწყებს ამ ბურთს...

— რომელ პარტნიორთან უფრო მეტად გსიამოვნებთ თამაში? — ვეკითხებით ვიტალი დარასელიას.

— ყველასთან, ვინც კი თამაშის დროს აზროვნებს!

— ვის შეიყვანდით თბილისის „დინამოს" ყველა დროის ნაკრებში?

— არ მინახავს ბევრი ისეთი ფეხბურთელის თამაში, რომლის სახელიც ლეგენდადაა ქცეული; ამიტომ არაობიექტური რომ არ ვიყო, ასეთი ნაკრების შედგენისაგან თავს შევიკავებ.

— რა მიზანს ისახავს გუნდი წლევანდელ სეზონში?

— უპირველეს ყოვლისა, ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებას. „დუბლის" გაკეთებაც არ ამოგვიღია დღის წესრიგიდან.

ვიტალი დარასელიას ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის ჯერ კიდევ არ უჩვენებია თავისი საუკეთესო მატჩი.

დაე, დიდხანს გვესმოდეს: „თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში მეექვსე ნომრით თამაშობს საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ვიტალი დარასელია!"

გიორგი ქორქია.





საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. ბიბლიოთეკა

# ცხელ-ცხელი ამბები

## ხმაური ვერ შეაღწევს

კიევში შენდება სახლი, რომელშიც ვერ შეაღწევს ქუჩის ხმაური.

ამ მრავალსართულიანი სახლის მშენებლობაში ფართოდ იყენებენ სხვადასხვა საიზოლაციო და აკუსტიკის საწინააღმდეგო მასალებს.

სახლი შენდება იაფი მასალით და ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლზე ძვირი არ ჯდება.

## 52 კილომეტრი

უახლოეს ხანში ჩვენს დიად სამშობლოში კიდევ ერთი მეტროპოლიტენის მშენებლობა დაიწყება.

მწყობრში ჩადგება ნოვოსიბირსკის მეტროპოლიტენი, რომლის საერთო სიგრძე 52 კილომეტრი იქნება.

## პოეზიის ანთოლოგია

მოძმე ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეში გამომცემლობა „ირფონმა“ დიდი ტირაჟით დაიწყო ტაჯიკური პოეზიის ხუთტომიანი ანთოლოგიის გამოცემა.

ანთოლოგიაში მკითხველები გაეცნობიან ფირდოუსის, რუდაქის, საადისა და სხვა საქვეყნოდ ცნობილი პოეტების ნაწარმოებებს.

## ესტაფეტა

ძველ რუსულ ქალაქ სოგიგალიჩში უკვე ერთი საუკუნეა, რაც როზანოვების გვარის ოთხი თაობა ერთგულად ემსახურება თანამოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვას.

საგვარეულო მედიკოსთა დინასტიის დამწყები ს. როზანოვი 1878 წლიდან შეუდგა თავის მოღვაწეობას, ჩვენი საუკუნის დამდეგს ქალაქში ექიმად დაიწყო მუშაობა ს. როზანოვის ვაჟიშვილმა ვლადიმირმა; მისი ქალიშვილი ვალენტინა სამამულო ომის წლებში ჩადგა ექიმთა რიგებში, ახლახანს კი ექიმთა ესტაფეტა მისმა ვაჟიშვილმა სერგეიმ მიიღო.

## მამონტის ძვლები

უკრაინაში, სოფელ მეჟირიჩის მახლობლად გათხრების დროს აღმოაჩინეს უძველესი ადამიანის სადგომი, რომელიც მამონტის ძვლებით არის აშენებული.

სპეციალისტების აზრით, ეს სადგომი აგებულია 12.000 წლის წინათ.

გათხრების ადგილებში უახლოეს ხანში მოეწყობა მუზეუმი.

## გიგანტური ვეშაპი

ბარენცის ზღვის მახლობლად ამას წინათ შემთხვევით წააწყდნენ უძველესი ცხოველის გაყინული ჩონჩხის ნაწილს.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ეს ჩონჩხი ეკუთვნის გიგანტურ ვეშაპს. ამ ვეშაპის წონა, სულ ცოტა, 160-200 ტონა მაინც იყო.

## სრული კრებული

ტაჯიკეთში სპეციალისტებმა ამას წინათ დაამთავრეს ხალხური მუსიკისა და სიმღერების სრული კრებულის — „შაშმაკომის“ ჩაწერა.

ამ ხალხური მდიდარი მემკვიდრეობის სრული შეკრება და ჩაწერა ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდა.

## პირველად

კიევში ჩვენს ქვეყანაში პირველად მოაწყვეს საგზაო ტროტუარი, რომელიც... თბება.

ასფალტის ფენებს შორის მოთავსებულია განსაკუთრებული ელექტროგამტარი მასალა, რომელიც თანდათან ხურდება და ათბობს ტროტუარს.

## ახალი ქალაქები

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს სამშობლოს 122 ახალი ქალაქი შეემატა.

ახალი ქალაქები დიდი რაოდენობით გაშენდა ციმბირისა და შორეულ აღმოსავლეთის რაიონებში.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყნის მილიონიან ქალაქებს ამიერკავკასიაში ხლახანს კიდევ ორი ქალაქი — თბილისი და ერევანი შეემატა.

# სიახლენი

□

კანადელმა სპეციალისტებმა, მთელი რიგი ექსპერიმენტების შემდეგ, თაბაშირი საგანგებო სინთეზური რეზინით შეცვალეს.

ამ სიახლეს მალე ფართოდ გამოიყენებენ მედიცინაში.

სინთეზური რეზინი სწრაფად მაგრდება ცივ წყალში, თბილ წყალში კი ასევე სწრაფად რბილდება და მჭიდროდ ეკვრება სხეულის მოტეხილ ადგილს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სინთეზური რეზინი, თაბაშირისაგან განსხვავებით, კარგად ატარებს რენტგენის სხივებს.

□

იაპონელმა სპეციალისტებმა ნახევარგამტარების გამოყენებით დაამზადეს მინიატურული მოწყობილობა, რომელიც ჟუჟუნა წვიმის საამო ხმას გამოსცემს.

ეს მოწყობილობა ,როგორც იაპონელი სპეციალისტები ირწმუნებიან, ყველა დასაძინებელ წამალზე უფრო ეფექტურად მოქმედებს უძილობით შეწუხებულ ადამიანებზე.

□

როგორც პრესა იუწყება, ინგლისში დაამზადეს რთული მოწყობილობის დანადგარი, რომელიც იძლევა... რძეს.

მანქანა ამუშავებს ბალახს და ძროხების სხვადასხვა საკვებს.

ხელოვნურ რძეში მეტად მაღალია ცილების რაოდენობა; გარდა ამისა, რძე დაზღვეულია მავნე ნივთიერებათა მინარევებისგან.

□

ამას წინათ ჟენევაში მოწყობილ გამოგონებათა გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ტელეფონის აპარატთან მისადგმელი მოწყობილობა.

ეს მოწყობილობა სმენადაკარგულ ადამიანებს საშუალებას აძლევს სატელეფონო ქსელით ერთმანეთს „ელაპარაკონ“ მორზეს ანბანის საშუალებით.

სასაუბრო ნიშნები, რომლებიც ღილაკზე თითის დაჭერით გადაიცემა, საგანგებო ქაღალდზე მიიღება.

აბონენტის გამოძახება ტელეფონის ჩვეულებრივი ზარის გარდა შუქნიშნითაც შეიძლება.

□

ავსტრალიელმა სპეციალისტებმა პეპლების დასაცავად, გასამრავლებლად და შესასწავლად სპეციალური პარკი დააარსეს.

ეს პარკი, რომლის ფართობი 14 ჰექტარია, სიდნეის მახლობლად მდებარეობს.

მსოფლიოში ახლახანს დაარსებულ ამ ერთადერთ საგანგებო პარკში სისტემატურად წარმოებს პეპლების ახალი სახეობებით შევსება და სხვადასხვა მეცნიერული დაკვირვებები.

# საინტერესო თემაზე

ამ პატარა ჩიტს მეცნიერები „ინდიკატორს“ ეძახიან. მას ძალიან უყვარს თაფლი, მაგრამ ფუტკრების შიშით ახლოს ვერ ეკარება სკას. როცა ჩიტუნა ტყეში თაფლის ფიჭით გამოტენილ ხის ფუღუროს იპოვის, მაშინვე დაიწყებს ხოლმე ადამიანის, ანდა თაფლის მოყვარული დათვის ძებნას.

აი, მან შენიშნა ბილიკზე მიმავალი ადამიანი. ჩიტუნა იმწამსვე დაიწყებს მგზავრის გარშემო მხიარულ ჭიკჭიკსა და ფრენას. გამოცდილი კაცი სწრაფად მიხვდება რისი მინიშნება სურს ჩიტს და მაშინვე უკან მიჰყვება მას. დადგენილია, რომ ამ პატარა ფრთოსნის კუჭ-ნაწლავში არის ისეთი ფერმენტები, რომლებიც თაფლის გარდა ცვილსაც ადვილად ითვისებენ.

აი, ერთი საგულისხმო მაგალითი:

ერთხელ რომელიღაც ახალგაზრდამ სწრაფად მისდია ჩიტის მიერ ნაჩვენებ გზას და ბებერ მუხასთან

## შემთხვევით გადარჩენილი

ამოყო თავი. კაცი ხეზე ავიდა, მაშინვე შენიშნა, რომ ვეება ფუღურო ველური თაფლით იყო სავსე. გახარებულ კაცს უცბად ტოტი მოუტყდა და თაფლით სავსე ფუღუროში ჩავარდა. რაც უფრო ცდილობდა თაფლიდან ამოძრომას, მით უფრო ღრმად ეფლობოდა წებოვან მასაში. გაბრაზებული ფუტკრები დაუპატიჟებელ სტუმარს დაესივნენ, გაავებული კბენით ერთიანად დაუსივეს სახე და ხელები. კაცმა ყვირილი მორთო, მაგრამ ხე ისეთ მიუვალ ადგილას იდგა, რომ სასოწარკვეთილი ძახილი ვერავინ გაიგო.

თაფლის მომლოდინე იმედგაცრუებული ჩიტი სხვის „დასაპატიჟებლად“ გაფრინდა.

თაფლში ჩაძირულ კაცს ხის ტოტების ლაწა-ლუწის ხმა შემოესმა. იფიქრა, ალბათ ვინმეს მისწვდა ჩემი ხმა და დასახმარებლად მოვიდაო. უცებ ადამიანის ნაცვლად კაცმა მის წინ მურა დათვის დრუნჩს მოჰკრა თვალი. დათვი პატარა ჩიტს მოეყვანა ხის ფუღუროსთან. დათვს არ ესიამოვნა ადამიანის ნახვა, პირი იბრუნა და გაქცევა დააპირა. კაცი არ დაიბნა, დათვს ორივე ხელით ჩააფრინდა უკანა ფეხებში და ხმამაღლა ყვირილი მორთო. შეშინებულმა დათვმა იფიქრა მახეში გავებიო, რაც ძალ-ღონე ჰქონდა გაიწია და კაცი თაფლის მორევიდან ამოათრია.

ასე შემთხვევით გადარჩა თაფლის მოყვარული კაცი აშკარა დაღუპვას.

გიორგი დათუაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მხიარული სტრიქონები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმა ამერიკელმა ხუმარა კაცმა ამას წინათ გაზეთში ასეთი განცხადება გამოაქვეყნა: „ვყიდი ქრისტეფორე კოლუმბის რადიომიმღებს, რომელიც მისი ჩამომავლებისაგან მივიღე მემკვიდრეობით“.

ამ „ისტორიული რელიკვიის“ შეძენის სურვილი მრავალმა ამერიკელმა გამოთქვა.

□

ავსტრიის უმაღლესმა სასამართლომ ამას წინათ ასეთი დადგენილება მიიღო: „გამყიდველი, რომელიც დირექტორთან შეთანხმების გარეშე გაწუცხადებს მომხმარებელს, რომ ესა და ეს ნივთი არა გვაქვსო, დაუყოვნებლივ შეიძლება მოიხსნას სამსახურიდან“.

□

პოლონეთის პატარა ქალაქ ლაბიშინში ალმართული უზარმაზარი მუხა მსოფლიოში ალბათ ერთადერთი ხეა, რომელსაც თავისი „დაბადების მოწმობა“ აქვს.

ქალაქის არქივში ინახება ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ეს მუხა 1410 წლის 3 ნოემბერს დარგო პოლონეთის მეფე ვლადისლავ იაგელომ.

□

შოტლანდიის ქალაქ სელიკერკში ამას წინათ გადაწყვიტეს საქალაქო ბიბლიოთეკა ახალ შენობაში გადაეტანათ.

უამრავი წიგნის გადასაზიდი თანხის დასაზოგად, ბიბლიოთეკის დირექტორმა ასეთ მახვილგონივრულ ხერხს მიმართა:

მან თხოვნით მიმართა ქალაქის მცხოვრებლებს, რომ ბიბლიოთეკიდან ორ-ორი, სამ-სამი წიგნი გაეტანათ.

ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ ქალაქის მოსახლეობამ ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნები უკანვე დააბრუნა.

□

ინგლისის ერთ-ერთ პატარა ქალაქში სიწყნარის მოყვარულებმა „ხმაურთან მებრძოლთა ლიგა“ დააარსეს.

კურიოზია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ლიგის ხელმძღვანელის გვარია „ყბედი“, მისი მოადგილისა კი — „მოუსვენარი“.

□

საფრანგეთში შეიქმნა ახალი გაერთიანება „თავმჯდომარეთა კავშირი“.

ამ კავშირში შეიძლება გაერთიანდნენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილებში მუშაობდნენ... თავმჯდომარედ.

□

ამერიკის შეერთებულ შტატებში თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოებამ მასიურად გამოუშვა ორიგინალური საფერფლეები.

საფერფლეებში საგანგებო მიკრომაგნიტოფონია ჩამონტაჟებული.

საფერფლეზე ყოველი სიგარეტის ჩაქრობის დროს მოულოდნელად გაისმის... ადამიანის გაშმაგებული ხველება, რომელიც 20 წამს გრძელდება.

## ციფრების ენით

●

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპეციალისტები რამდენიმე წლის მანძილზე მუშაობდნენ, რომ ზუსტად დაედგინათ მზის დიამეტრი.

სხვადასხვა აპარატურის საშუალებით მზის დიამეტრის გაზომვა-გაანგარიშება 246-ჯერ ჩატარდა.

საბოლოოდ დადგინდა, რომ მზის დიამეტრი 696. 265 კილომეტრია.

●

ჩვენი პლანეტის ზღვები და ოკეანეები ელექტროენერგიის მიღების უდიდესი და ამოუწურავი წყაროა.

სპეციალისტებმა გამოთვალეს, რომ ზღვებისა და ოკეანეების ტალღებმა ერთდროულად შეიძლება მოგვცეს 90.000 მილიარდი კილოვატსაათი ენერგია.

●

საგანგებო გამოაანგარიშებით დადგინდა, რომ გოლფსტრიემის დინებას ყოველ წამში გადააქვს 3 მილიონი ტონა მარილი.

ერთ წამში ეს დინება ზღვაში ისვრის იმდენ სითბოს, რამდენიც შეიძლება მივიღოთ 7-8 ათასი ტონა ნავთის დაწვის შედეგად.

●

100 ლიტრი ბენზინით ავტომანქანას შეუძლია გაიაროს საშუალოდ ათასამდე კილომეტრი.

თუ ამ ბენზინს გამოვიყენებთ როგორც ქიმიურ ნედლეულს, მისგან შეიძლება დავამზადოთ მამაკაცის 21 პერანგი, ანდა მანქანის რამდენიმე კამერა.

●

ამერიკის შეერთებული შტატების სტანდარტების ნაციონალურ ბიუროში ამას წინათ დაიწყეს გამოყენება საათისა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ზუსტ და საიმედო საათად შეიძლება მივიჩნიოთ.

ამ საათმა ზუსტ დროსთან შეფარდებით, მხოლოდ ერთი წამი განსხვავება შეიძლება მოგვცეს... 370.000 წლის მანძილზე.

## კურიოზები კურიოზები კურიოზები კურიოზები

### მხოლოდ ერთი

ფრანგულმა გაზეთმა „პარი სუარმა“ ამას წინათ მოაწყო პასუხების კონკურსი შემდეგ შეკითხვაზე: „თუ ლუვრში გაჩნდება მოულოდნელი ხანძარი და თქვენ საშუალება გექნებათ გადაარჩინოთ მხოლოდ ერთი სურათი, რომელ შედევრს გამოსტაცებთ ხანძარს?“.

კონკურსში უამრავმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ლუვრიდან, სადაც მსოფლიოს მრავალი შედევრი ინახება, ზოგი რომელი სურათის გადარჩენას ვარაუდობდა, ზოგი კიდევ რომელის...

ჟიურიმ გამარჯვება მიაკუთვნა ვინმე შარლ მონტანელს. მისი პასუხი საკმაოდ ლაკონური იყო: „მე გადავარჩენ იმ სურათს, რომლის გადარჩენას შევძლებ“.

### ლიმონათი და საგზაო ავარიები

საგზაო ავარიებთან საბრძოლველად ინდონეზიაში ამას წინათ დაიწყეს... ლიმონათის გამოყენება.

უალკოჰოლო სასმელების ერთ-ერთმა ფირმამ ლიმონათის ბოთლებზე გააკრა ეტიკეტები, რომლებზეც საგზაო მოძრაობის ნიშნები და მათი მნიშვნელობაა დაბეჭდილი.

ცხადია, ყველა საგზაო ნიშანი და მათი ახსნა ერთ ბოთლზე ვერ მოთავსდება. დაინტერესებული შოფერი იძულებულია ლიმონათის რამდენიმე ბოთლი შეიძინოს.

სტატისტიკა ჯერჯერობით დუმს თუ რა შედეგი გამოიღო ლიმონათმა საგზაო ავარიებთან ბრძოლაში. ერთი რამ კი ცხადია: უალკოჰოლო სასმელების მოხერხებულმა ფირმამ დიდი ფულადი მოგება მიიღო.

### მოდი და გადაიხადე!

ერთი მარტოხელა ამერიკელი მთელი წლის განმავლობაში არ ცხოვრობდა თავის ბინაში.

გადასახადზე მოსულმა მოხელემ მაშინვე დაადგინა, რომ ელექტროენერგია ერთი წლის მანძილზე გამოუყენებელი იყო და მისი გადასახადი 0 დოლარს და 0 ცენტს შეადგენდა.

შინ დაბრუნებულმა მარტოხელა ამერიკელმა მალე ასეთი გაფრთხილება მიიღო ელექტროკომპანია „ჯენერალ ელექტრიკიდან“: „თუ თქვენ 24 საათის განმავლობაში არ დაფარავთ გადასახადს, დაუყოვნებლივ გამოგირთავთ ელექტროენერგიას“.

### კურიოზია თუ სინამდვილე?

დასავლეთ ევროპაში ამას წინათ დამთავრდა კონკურსი ასეთ თემაზე: „საოკეანო ხომალდი 2.000 წელს“.

კონკურსზე პირველი პრემია მიენიჭა ერთ-ერთ ავტორს, რომელმაც ასე წარმოსახა მომავალი საუკუნის საოკეანო ხომალდი:

უზარმაზარ სახაზო ხომალდს წყალქვეშა ნავის მოწყობილობაც აქვს; მას წყალში და წყალქვეშ ცურვის გარდა ჰაერში ფრენაც შეუძლია.

ხომალდი მძლავრი რეაქტიული ძრავის საფრენი აპარატით არის აღჭურვილი.

კურიოზები კურიოზები კურიოზები კურიოზები

# თითქმის დაუჯერებელი

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული რძის ფასია 42 შვეიცარული ფრანკი.

ამ რძეს იღებენ... თაგვისგან.

თაგვის რძეს სხვადასხვა კვლევით სამუშაოებსა და ექსპერიმენტებში იყენებენ.

●

ამერიკის შეერთებული შტატების მკვიდრმა ვინმე დევიდ ოფრენმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა... აბაზანაში.

იგი თავსა და ტანს იბანდა... 7 დღე, 7 საათი და 7 წუთი.

●

ქალაქ კანდელარიაში (ჩრდილოეთ ფილიპინები) სილამაზის კონკურსის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ თავიანთი წვლილი შეეტანათ... მომრავლებულ თაგვებთან ბრძოლაში.

ყველა ქალს, რომელსაც სურდა მონაწილეობა მიეღო სილამაზის კონკურსში, აუცილებლად უნდა წარმოედგინა... ასი თაგვის კუდი.

●

სამხრეთ კაროლინაში (აშშ) ცხოვრობს ვინმე მერი ჰანდი, რომლის ოფიციალური სახელია — მერი არტი ვანდორა ილინოის მინი ლი ლანანია მანდი სარაენ სენდი პოლო-რემდეგჯუდი ენ ფრენსის პულივარდ კოლინზ კელი.

●

პოლონელმა მეტყევემ პ. პეჩიკმა თითქმის შეუძლებელი შეძლო: მან მიიჩვია და თანდათან მოაშინაურა... გარეული ღორი.

ეშვებიანი უზარმაზარი ტახი ახლა ძაღლივით დასდევს თავის პატრონს.

●

მიმდინარე წლის იანვარში ვაშინგტონში აღირიცხა 4.880 დანაშაული, ანუ დაახლოებით 160 დანაშაული დღეში.

თებერვალში დანაშაულთა რიცხვი 29 პროცენტით გაიზარდა.

●

ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს ვინმე ბილ ჰარი, რომელსაც აქვს ძველი ავტომანქანების კოლექცია.

მოძველებული და მოდიდან გამოსული ავტომანქანების რიცხვი... 1.500 ცალს აღემატება.

●

საგანგებო შესწავლით დადგინდა, რომ ტურისტები ალპების მიდამოებში ყოველწლიურად ტოვებენ ათას ტონაზე მეტ... ნაგავს.

ეს ნაგავია — კონსერვის კოლოფები, სხვადასხვა ქილები, ძვლები, ბოთლები, ქაღალდის ნაგლეჯები, ასანთისა და სიგარეტის კოლოფები...

●

როგორც ბელგიური გაზეთი „დრაპო რუჟი“ იუწყება, ყოველი 100 ამერიკელი ჯარისკაციდან, რომლებიც ევროპაში არიან განლაგებულნი, საშუალოდ 7 ჯარისკაცი დიდი რაოდენობით ხმარობს... ნარკოტიკებს.

გარეკანის პირველ გვერდზე: ბავშვები — სიცოცხლის ყვავილები. ბონდო დადვაძის ფოტო.

# ნარევი

## ახალი კომპლექსი

პოლონეთში ააშენეს საცხოვრებელი სახლის ახალი კომპლექსი, რომელშიც საგანგებო კედელია აღმართული... ბავშვებისთვის.

პატარებს ახლა თავისუფლად შეუძლიათ ფანქრით, ცარცითა თუ ნახშირით იმდენი ხატონ, რამდენიც მოესურვებათ.

ბავშვებისთვის განკუთნილი კედელი ყოველთვის ათასგვარი ნახატებითა და წარწერებით არის აჭრელებული, საცხოვრებელი სახლების სხვა კედლებზე კი სანიმუშო სისუფთავეა დაცული.

## უძველესი ბადროები

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებში ამჟამად ინახება არქეოლოგიური გათხრების დროს მიკვლეული ოლიმპიური თამაშების 15 ცალი უძველესი ბადრო.

მათ შორის ყველაზე მსუბუქი ბადრო განეკუთვნება ჩვენს ერამდე VI საუკუნეს და 1,2 კილოგრამს იწონის; ყველაზე მძიმე ბადროს წონაა 5,7 კილოგრამი. იგი ჩვენი წელთაღრიცხვის III საუკუნით თარიღდება.

## უცნაური წესი

ატლანტის ოკეანის ერთ-ერთ პატარა კუნძულზე დღემდე შემორჩენილია ასეთი უცნაური წესი: ქორწინების წინ, მომავალი ქმარი მოვალეა მთელი ღამის განმავლობაში ცალ ფეხზე იდგეს კლდის ქიმზე, რომელიც ზღვის დონიდან 200 მეტრზეა აღმართული.

ვინც ამ წესს დაარღვევს, ან ოკეანეში გადავარდება, უარი უნდა განაცხადოს საცოლის ხელზე.

აღსანიშნავია, რომ ამ კუნძულზე თითქმის არასოდეს არ ხდება ცოლქმარის განქორწინების შემთხვევები.

## წყალგამძლე წიგნი

ინგლისელი ნატურალისტი ა. სკოტი ამჟამად მუშაობს მსოფლიოში პირველი წყალგამძლე წიგნის დამზადებაზე.

იხტიოლოგიის ცნობარი, რომელიც სპეციალურ პოლიეთილენის ქაღალდზე დაიბეჭდება, მყვინთავებს საშუალებას მისცემს სასწრაფოდ მიიღონ სათანადო ცნობები წყალში შეხვედრილ თევზებზე.

## უძილობის „მსხვერპლი“

კუბის ერთ-ერთი გაზეთი იუწყება, რომ ვინმე ვისენტე მედონას, რომელიც ამჟამად 64 წელსაა გადაცილებული, მთელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ რამდენიმე წელი ეძინა ნორმალურად

ექიმებმა ვერ შეძლეს უძილობისგან განეკურნათ იგი. მიუხედავად ამისა, ვისენტე მედონა ისეთი ჯანმრთელია, რომ, როგორც ზოგიერთი სპეციალისტი ვარაუდობს, შეიძლება ას წლამდე იცოცხლოს.

## მხატვრული მედლების გამოფენაზე

თბილისში, გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში მოეწყო სამედლო ხელოვნების ნაწარმოებთა რესპუბლიკური გამოფენა. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქართული მედალი ასე ფართოდ იყო წარმოდგენილი საზოგადოების სამსჯავროზე.

გამოფენის ინიციატორი და ორგანიზატორია მოქანდაკე ქალი ლ. ქველიძე, რომლის ნამუშევართა პირველ პერსონალურ გამოფენას თავის დროზე წარმატება ხვდა წილად.

დღეს მხატვრული მედალი ხელოვნების ჟანრთა ოჯახის სრულუფლებიანი წევრია. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ზომით მცირე, მაგრამ აზრობრივად უაღრესად დატვირთული ეს ქმნილებანი ეპოქის თავისებური მატიანეა — ისინი ახახავენ რაიმე ღირსშესანიშნავ მოვლენას, ანდა ეძღვნება რომელიმე გამოჩენილ პიროვნებას.

1955 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა სამახსოვრო და საიუბილეო მედლების შექმნისა და გამოშვების წესი. მას შემდეგ ხელოვნების ამ დარგს სერიოზული წარმატებანი ხვდა წილად. საბჭოთა სამედლო ხელოვნება განვითარების ფართო გზაზე გავიდა და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ამ საქმეში ძალზე თვალსაჩინოა ქართველ ხელოვანთა წვლილიც.

გამოფენა, მართლაც, რომ სოლიდური იყო როგორც იქ წარმოდგენილი ნამუშევრების რაოდენობის, ისე მათი მხატვრული დონის მხრივ.

ექსპოზიცია მოიცავდა 80 მოქანდაკის 500-ზე მეტ ნამუშევარს და რაოდენ სასიხარულოა, რომ საყოველთაოდ აღიარებულ და ცნობილ ოსტატთა — ე. ამაშუკელის, გ. ოჩიაურის, გ. მიქაძის, ნ. ჩუბინიძისა და სხვათა ქმნილებების გვერდით ვიხილეთ ხელოვნების ასპარეზზე სულ ახლახან გამოსულ შემოქმედთა ნამუშევრებიც, რომელთა შორის აღსანიშნავია სამხატვრო აკადემიის სტუდენტის ანდრო ლვამიჩავას ნამუშევარი „მიშველეთ!“, რომელიც ისტორიულ ძეგლთა დაცვას ეძღვნება.

მხატვრული მედლების რესპუბლიკური გამოფენა დიდი სტიმული იყო ამ დარგში მომუშავე ხელოვანთათვის. იგი ბიძგს მისცემს მათ შემდგომ დაოსტატებას და მათი ხელოვნების სრულყოფას.

სულ მალე მოსკოვში მოეწყობა მედლების III საკავშირო გამოფენა, სადაც, იმედია, მორიგ წარმატებას მოიპოვებენ ქართული სამედლო სკოლის წარმომადგენლები.

ქეთევან თავაძე

გადაეცა ასაწყობად 7/V-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/V-79 წ., ქაღალდის ზომა $70 \times 108^{1}/_{8}$, ფიზიკური ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,2, ტირაჟი 52.450. შეკვ. 1187. უე 00728. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილების გამგეების — 93-28-42, 99-01-89.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.





## ჰერლუფ ბიდსტრუპი

### სამუშაო დღე








მედლები. მხატვრული მედლების რესპუბლიკური გამოფენიდან.

ИНДЕКС 76056